



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო  
ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო



დადგენილება:დ-87. 8723291001

თარიღი:18/10/2023

დადგენილება №25

**„ახმეტის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის №62 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

**მუხლი 1**

„ახმეტის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის №62 დადგენილებაში ([www.matsne.ge](http://www.matsne.ge), 23.12.2022, სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.162.016598) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

**მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

იოსები ქარუმაშვილი

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი





აჭმეტის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის

პროგრამული დანართი

## თვითმმართველი ერთეული ახმეტის მუნიციპალიტეტის განვითარების ხედვა

2021 წელს მსოფლიოში ახალი კორონავირუსის (COVID 19) პანდემიამ და რუსეთის ფედერაციის უკრაინაში განხორციელებულმა შეჭრამ შეცვალა მსოფლიო ეკონომიკური განვითარების ტენდენცია.

გამოწვეულმა ნეგატიურმა შოკმა გავლენა იქონია საქართველოს ეკონომიკაზე და შესაბამისად ახმეტის მუნიციპალიტეტზე. მიუხედავად აღნიშნულისა ბოლო 3 წლის განმავლობაში ქვეყნის ძირითადი ეკონომიკური პარამეტრები მუდმივად გაუმჯობესების ტენდენციით ხასიათდებოდა და შესაბამისად იზრდებოდა ახმეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულებები. ამის გათვალისწინებით, მიმდინარე პერიოდში ქვეყნის მაკროეკონომიკური პოლიტიკა მიმართული იქნება ეკონომიკის გაჯანსაღებისკენ, რათა საშუალოვადიან პერიოდში ქვეყნის განვითარების დონე დაუბრუნდეს პოტენციურ მაჩვენებელს და უზრუნველყოს მაკროეკონომიკური სტაბილურობა.

2023-2026 წლებში ახმეტის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ გადადგმულმა ნაბიჯებმა უნდა შექმნას საშუალო ვადიან პერიოდში მუნიციპალიტეტის სოციალური და ეკონომიკური განვითარების მყარი საფუძვლები.

ამ მიზნის მისაღწევად მუნიციპალიტეტის განვითარების ხედვა ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

ახმეტის მუნიციპალიტეტის ისტორიულად მიმზიდველი გარემოს შენარჩუნება და განვითარება. მისი ტურისტული პოტენციალის მაქსიმალური გამოვლენა. რაც გულისხმობს მიმზიდველი გარემოს შექმნას და ტურიზმის განვითარებით ახმეტის მოსახლეობის ეკონომიკურ გაუმჯობესებას.

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები ერთობლივად ყველა მიმართულებით გაატარებს ძირეულ და ინოვაციურ რეფორმებს. ამ რეფორმების შედეგად, მივიღებთ მცირე, მოქნილ და ეფექტიან მართველობით გუნდს, რომელიც მაქსიმალურად შეუწყობს ხელს მუნიციპალიტეტში საკუთარი შემოსავლების ზრდას და მობილიზებული სახსრების ეფექტურად განკარგვას.

ეფექტურად გაგრძელდება ყველა ისეთი საჭირო კომუნიკაციების მშენებლობა რეაბილიტაცია, როგორცაა გზები, გარე განათება, წყალმომარაგება და სხვა. რათა მაქსიმალურად ხელი შეეწოს ინვესტიციების მოზიდვას და ეკონომიკის განვითარებას.

განათლება, ახალგაზრდობა და ინოვაცია. განათლებული, მოტივირებული, სამეწარმეო სულისკვეთების მქონე, საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებული ახალგაზრდობა გახდება იმ მთავარი შედეგის მომტანი, რომელიც მუნიციპალიტეტს ჩააყენებს განვითარებული და ინოვაციური ეკონომიკის მქონე როგორც საქართველოს

ასევე სხვა ქვეყანის წარმატებულ მუნიციპალიტეტებს შორის. შესაბამისად, წახალისდება ისეთი ინოვაციური პროექტები რომელიც მოზარდი თაობის განვითარებას შეუწყობს ხელს.

როგორც ქვეყნის მთავრობისათვის ასევე მუნიციპალიტეტშიც ადამიანი და მასზე ზრუნვა იყო, არის და იქნება ჩვენი მთავარი ღირებულება. ამიტომ, გაგრძელება და შეიქმნება ისეთი ახალი პროგრამები რომელიც სოციალურად დაუცველ მოსახლეობაში გაზრდის ხელმისაწვდომობას სხვადასხვა სახელმწიფო თუ არასახელმწიფო სერვისების მიღებაზე.

### მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

2022 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტში მიმდინარეობდა სხვადასხვა აქტივობები, მათ შორის განხორციელდა მოსახლეობის გამოკითხვა, ჩატარდა სხვადასხვა კვლევები, სამოქალაქო საბჭოსთან და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან გაიმართა შეხვედრები. შემუშავდა 2023 – 2026 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა, ჩამოყალიბდა მუნიციპალიტეტის განვითარების ძირითადი მიმართულებები და გამოიკვეთა ბიუჯეტში გასათვალისწინებელი პრიორიტეტები და პროგრამები. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტული მიმართულებებია:

- ❖ ინფრასტრუქტურა;
- ❖ დასუფთავება და გარემოს დაცვა;
- ❖ განათლება;
- ❖ კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი;
- ❖ ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;
- ❖ წარმომადგენლობითი და ღმასრულებელი ხელისუფლება;

2023-2026 წლებში ასიგნებებისა და რიცხოვნობის ზღვრული ოდენობები პრიორიტეტების მიხედვით					
პრიორიტეტის კოდი	პრიორიტეტის დასახელება	2023 წელი	2024 წელი	2025 წელი	2026 წელი
01 00	წარმომადგენლობითი და ღმასრულებელი ხელისუფლება	5,819.0	6,023.9	6,409.8	6,871.7

	მ.შ. რიცხოვნობა	186.0	186.0	186.0	186.0
	მ.შ. ახალი ინიციატივები	-	-	-	-
02 00	ინფრასტრუქტურა	14,692.2	3,470.5	3,382.0	3,674.5
	მ.შ. რიცხოვნობა	73.0	73.0	73.0	73.0
	მ.შ. ახალი ინიციატივები	-	-	-	-
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	3,627.3	3,019.4	3,339.0	3,676.8
	მ.შ. რიცხოვნობა	156.0	156.0	156.0	156.0
	მ.შ. ახალი ინიციატივები	-	-	-	-
04 00	განათლება	6,543.9	4,393.4	5,185.5	5,396.6
	მ.შ. რიცხოვნობა	395.0	395.0	395.0	395.0
	მ.შ. ახალი ინიციატივები	-	-	-	-
05 00	კულტურა, ახალგაზრდული და სპორტი	3,366.2	3,060.4	3,200.7	3,450.4
	მ.შ. რიცხოვნობა	382.0	382.0	382.0	382.0
	მ.შ. ახალი ინიციატივები	-	-	-	-
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	2,331.1	1,845.8	1,867.9	1,977.9
	მ.შ. რიცხოვნობა	42.0	42.0	42.0	42.0
	მ.შ. ახალი ინიციატივები	-	-	-	-
<b>სულ ჯამი</b>		<b>36,379.8</b>	<b>21,813.4</b>	<b>23,384.9</b>	<b>25,047.9</b>
<b>მ.შ. რიცხოვნობა</b>		<b>1,234.0</b>	<b>1,234.0</b>	<b>1,234.0</b>	<b>1,234.0</b>
<b>მ.შ. ახალი ინიციატივები</b>		<b>-</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>-</b>

## ინფრასტრუქტურა

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. ინფრასტრუქტურის განვითარება პირდაპირ კავშირშია მუნიციპალიტეტის მოსახლეობის კეთილდღეობასთან, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში ინვესტიციების მოზიდვას, რაც ტურიზმის, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის და სხვა დარგების განვითარების წინაპირობაა. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია, წყლის სისტემების, გარე განათების ქსელის განვითარება და მუნიციპალიტეტში სხვა აუცილებელი კეთილმოწყობის ღონისძიებების დაფინანსება. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება როგორც ახალი ინფრასტრუქტურის მშენებლობა, ასევე, არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

პროგრამის დასახელება	კოდი	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	დაფინანსება ათას ლარებში			
	02 01		2023 წ.	2024 წ.	2025 წ.	2026 წ.
			8985,3	1186,0	1500,0	1600,0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის და არქიტექტურის სამსახური					
პროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული საგზაო ინფრასტრუქტურის მდგომარეობის შენარჩუნება და განახლება, ასფალტის საფარის ორმული შეკეთება, რაც გააუმჯობესებს არსებულ საგზაო ინფრასტრუქტურას. ასევე განხორციელდება დაზიანებული ქვაფენილების და ტროტუარების აღდგენა-რეაბილიტაცია და მოპირკეთება ასფალტო-ბეტონის საფარით.					

ახმეტის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მნიშვნელობის გზების სიგრძე შეადგენს 524 600 გრძივ მეტრს (524,6 კმ.). აქედან 29,9% (156,6 კმ) მოასფალტებულია, ხოლო დანარჩენი გრუნტის გზაა.

ადგილობრივი ბიუჯეტიდან იგეგმება საქართველოს მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი თანხების თანადაფინანსება, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციების შესყიდვა, ასევე, ობიექტებს, რომელთა სარეაბილიტაციო სამუშაოების ღირებულება აღემატება 50 000 ლარს უტარდება ტექნიკური ზედამხედველობა და შესაბამისი დაფინანსებაც ხორციელდება ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

გზებისა და ხიდების სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის 2023 წელს ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებულია 3117,2 ათ. ლარი:

- ქ. ახმეტაში სავარგულებთან მისასვლელი გზების რეაბილიტაცია - 25,5 ათ. ლარი
- ტბათანასთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია-11,0 ათასი ლარი
- სოფ. ხორბალოში მისასვლელი გზის პირველი ნაწილის რეაბილიტაცია - 500,0 ათ. ლარი
- ქ. ახმეტაში ალაზნის პირველ შესახვევში მდებარე ეზოს რეაბილიტაცია - 70,4ათ. ლარი
- ქ. ახმეტაში ივ. ჯავახიშვილის ქუჩის რეაბილიტაცია - 136,2 ათ. ლარი
- ქ. ახმეტაში თამარის ქუჩაზე მდებარე მრავალბინიანი კორპუსის ეზოების რეაბილიტაცია - 151,1 ათ. ლარი
- ქ. ახმეტაში ბიოქიმიური ქარხნის მიმდებარედ მრავალბინიანი კორპუსის ეზოების რეაბილიტაცია - 150,9 ათ. ლარი
- ქ. ახმეტაში სანაპიროს ქუჩაზე კორპუსების ეზოების რეაბილიტაცია - 72,0 ათ. ლარი
- ქ. ახმეტაში რუსთაველის ქუჩაზე კორპუსების ეზოების რეაბილიტაცია - 105,7 ათ. ლარი
- რუსთაველის ქუჩაზე მუსიკალური სკოლის ჩიხის რეაბილიტაცია-24,1 ათსი ლარი
- ქვ. ალვანში შიდა საუბნო გზის (გზა #2) რეაბილიტაცია - 248,3 ათ. ლარი
- ქ. ახმეტაში რუსთაველის პირველი ჩიხის რეაბილიტაცია - 160,3 ათ. ლარი
- რეგ. პროექტების თანადაფინანსება - 411,1 ათ. ლარი
- ტექნიკური ზედამხედველობა - 100,0 ათ. ლარი
- საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა - 103,9 ათ. ლარი

ასევე, ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდება საგზაო მოძრაობის წესების მარეგულირებელი ნიშნების დამზადება.

ადგილობრივი ბიუჯეტიდან გზების მიმართულებით 2022 წლის ნაშთიდან ასახულია 775,8 ათ. ლარი. აქედან:

- ქ. ახმეტაში შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია;
- რაფიელ ერისთავის სახლ-მუზეუმთან მისასვლელი გზის და თანხმლები ინფრასტრუქტურის მოწყობის თანადაფინანსება (#1419 განკ.);
- 2022 წლის რეგ. პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხის თანადაფინანსება;
- ტექნიკური ზედამხედველობის ნაშთი.

ცენტრალური ბიუჯეტის ნაშთი - საქართველოს მთავრობის 2022 წ. 17 იანვრის # 75 განკარგულებით გამოყოფილი თანხებიდან - 1028,6 ათ. ლარი:

- ქ. ახმეტაში სააკაძის ქუჩის გზის რეაბილიტაცია - 43,7 ათ. ლარი;
- სოფ. არაშენდის საუბნო გზის რეაბილიტაცია - 14,7 ათ. ლარი;
- ქ. ახმეტაში ანდრონიკაშვილის ქუჩის გზის რეაბილიტაცია - 186,0 ათ. ლარი;
- სოფ. ალავერდში შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია - 65,8 ათ. ლარი;
- ქ. ახმეტაში შატილის ქუჩის გზის რეაბილიტაცია - 45,8 ათ. ლარი;
- სოფ. ხორხელში იმერლიანთ უბანში მისასვლელი გზის რეაბილიტაცია - 369,1 ათ. ლარი;
- ზ. ალვანში შიდა საუბნო გზის (გზა №2) რეაბილიტაცია - 145,4 ათ. ლარი;
- სოფ. ჩაბინაანში შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია - 72,7 ათ. ლარი;
- სოფ. აწყურის შემოსასვლელის ტროტუარების და კიუეტის რეაბილიტაცია - 20,9 ათ. ლარი;
- ქ. ახმეტაში რუსთაველის ქუჩის ტროტუარის მოწყობისა და გზის სავალი ნაწილის გაფართოება - 17,4 ათ. ლარი;
- სოფ. დუისში შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია - 47,2 ათ. ლარი.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის №926 განკარგულებით გამოყოფილი თანხის ნაშთი - ახმეტის მუნიციპალიტეტში, სოფ.



ილიურთა - ვესტომთა - საჩილოლო - ვესტომს და სოფ. ვესტომთა - გოგრულთას დამაკავშირებელი ადგილობრივი მიმოსვლის საავტომობილო გზების მოწყობის სამუშაოები - 1157,4 ათ. ლარი.

საქართველოს მთავრობის 2021 წლის №1419 განკარგულებით გამოყოფილი თანხის ნაშთი - ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ქისტაურში რაფიელ ერისთავის სახლ-მუზეუმთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია და თანმხლები ინფრასტრუქტურის მოწყობა - 181,3 ათ. ლარი.

- გაეროს განვითარების პროგრამის მიერ (UNDP) კახეთის რეგიონის მუნიციპალიტეტებისთვის გამოცხადებულ კონკურსში, ახმეტის მუნიციპალიტეტმა მოიპოვა დაფინანსება 42.000 ლარის ოდენობით წოვათას ხეობაში მისასვლელი ალტერნატიული გზის საპროექტო-ტექნიკური დოკუმენტაციის მოსამზადებლად. პროექტის მომზადების დაფინანსებას უზრუნველყოფს UNDP-ის პროექტი „ევროკავშირი ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარებისთვის (EU4ITD) - დეცენტრალიზებული, ეფექტური და ინკლუზიური მმართველობის ხელშეწყობა საქართველოში“.

2023 წლისათვის საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 დეკემბრის #2475 განკარგულებით გზების მიმართულებით გამოყოფილია:

- ქ. ახმეტაში შატილის ქუჩის გზის რეაბილიტაცია - 20,0 ათ. ლარი;
- სოფ. აწყურის შემოსასვლელის ტროტუარების და კიუეტის რეაბილიტაცია - 23,5 ათ. ლარი;
- სოფ. დუისში შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია - 100,0 ათ. ლარი;
- ქ. ახმეტაში რუსთაველის ქუჩაზე ტროტუარის მოწყობისა და გზის სავალი ნაწილის გაფართოება - 304,3 ათ. ლარი;
- ზემო ალვანში შიდა საუბნო გზის (გზა #2) რეაბილიტაცია - 50,0 ათ. ლარი;
- სოფ. ჩაბინაანში შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია -50,0 ათ. ლარი;
- სოფ. ხორხელში იმერლიანთ უბანში მისასვლელი გზის რეაბილიტაცია 50,0 ათ. ლარი;
- სოფ. ქვ. ალვანის შიდა საუბნო გზის (გზა I) რეაბილიტაცია 224,9 ათ. ლარი;
- სოფ. ახშნის ველებში მისასვლელი გზის რეაბილიტაცია - 749,3 ათ. ლარი;

	<ul style="list-style-type: none"> <li>ქ. ახმეტაში ბიძინა ჩოლოყაშვილის ქუჩის I მონაკვეთის რეაბილიტაცია - 468,3 ათ. ლარი;</li> <li>ქ. ახმეტაში რუსთაველის ქ. სტადიონთან მრავალბინიანი კორპუსების ეზოს რეაბილიტაცია - 119,2 ათ. ლარი;</li> <li>ქ. ახმეტაში რუსთაველის ქუჩაზე, ე. წ. ალენის დასახვევში მდებარე მრავალბინიანი კორპუსების ეზოების რეაბილიტაცია - 68,4 ათ. ლარი;</li> <li>ქ. ახმეტაში ბიძინა ჩოლოყაშვილის ქუჩაზე 60 ბინიანი კორპუსი ეზოს რეაბილიტაცია 59,9 ათასი ლარი;</li> <li>სოფელ მატანში სასაფლაოსთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია 214,3 ათასი ლარი;</li> <li>ქ. ახმეტაში ვაჟა ფშაველას ქუჩის რეაბილიტაცია 117,3 ათასი ლარი;</li> <li>ქ. ახმეტაში ჭავჭავაძის ქუჩის რეაბილიტაცია 237,5 ათასი ლარი;</li> <li>სოფელ ბირკიანში სკოლასთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია-94,3 ათასი ლარი;</li> <li>სოფელ დუმასტურში სკოლასთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია-78,3 ათასი ლარი;</li> <li>სოფელ აწყურში სიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია 228,0 ათასი ლარი;</li> <li>ქ. ახმეტაში ყაზბეგის ქუჩის შესახვევის რეაბილიტაცია-114,0 ათასი ლარი;</li> <li>ქ. ახმეტაში ლეონიძის ქუჩის I შესახვევის რეაბილიტაცია 66,5 ათასი ლარი.</li> </ul> <p>საქართველოს მთავრობის 2023 წლის 9 თებერვლის №301 განკარგულებით - ახმეტის მუნიციპალიტეტში, სოფ. ილიურთა - ვესტომთა - საჩილოლო - ვესტმოს და სოფ. ვესტომთა - გოგრულთას დამაკავშირებელი ადგილობრივი მიმოსვლის საავტომობილო გზების მოწყობის სამუშაოებისათვის დამატებით გამოიყო - 100 ათ. ლარი.</p>										
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	საგზაო ინფრასტრუქტურის გამართული ფუნქციონირება და ტრანსპორტის შეუფერხებელი გადაადგილება, მუნიციპალიტეტის საჭიროებიდან და მოსახლეობის მოთხოვნიდან ახალი გზების მშენებლობა და არსებულის რეაბილიტაცია										
შედეგის შეფასების ინდიკატორი	<table border="1"> <thead> <tr> <th data-bbox="487 1749 716 1883">#</th> <th data-bbox="716 1749 846 1883">საბაზის ო მაჩვენე ბელი</th> <th data-bbox="846 1749 1049 1883">მიზნობრივი მაჩვენებელი</th> <th data-bbox="1049 1749 1252 1883">ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)</th> <th data-bbox="1252 1749 1432 1883">შესაძლო რისკი</th> </tr> </thead> <tbody> <tr> <td> </td> <td> </td> <td> </td> <td> </td> <td> </td> </tr> </tbody> </table>	#	საბაზის ო მაჩვენე ბელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკი					
#	საბაზის ო მაჩვენე ბელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკი							

	მოასფალტებული საგზაო ინფრასტრუქტურა	29,9%	33%	2%	ტენდერის ჩავარდნა; უპასუხისმგებ ლო შემსრულებელი
--	---	-------	-----	----	---

პროგრამის დასახელება	კოდი	წყლის სისტემების განვითარება	დაფინანსება ათას ლარებში			
	02 02		2023 წ.	2024 წ.	2025 წ.	2026 წ.
			1929,5	1200,0	1320,0	1405,0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის და არქიტექტურის სამსახური					
პროგრამის აღწერა	<p>პროგრამა ითვალისწინებს ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყლის სისტემების რეაბილიტაციას და ახლის მოწყობას.</p> <p>პროგრამა ხორციელდება მუნიციპალიტეტის ფარგლებში შემავალ ყველა სოფელში. ამჟამად მუნიციპალიტეტის სოფლებში ფუნქციონირებს ამჟამად მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 29 ჭაბურღილი და მიმდინარეობს 2 ახალი ჭაბურღილის მოწყობა, რომელიც უზრუნველყოფს 12 საათიან წყალმომარაგებას. თუმცა კიდევ რჩება წყლის პრობლემა დიდ გამოწვევად და საჭიროა ახალი ჭაბურღილების დამატება ან არსებულის რეაბილიტაცია</p> <p>წყლის სისტემის განვითარების პროგრამა შედგება 3 ქვეპროგრამისაგან. ესენია: სასმელი წყლის სისტემის ექსპლუატაციის ქვეპროგრამა (ელექტრო ენერჯის გადასახადი), წყლის სისტემის რეაბილიტაციის ქვეპროგრამა (რეგ. პროექტების თანადაფინანსება) და სოფლის წყლის სისტემების მოვლა-პატრონობა (ა(ა)იპ-ის მიერ). ექსპლუატაციის ქვეპროგრამის დაფინანსების წყაროა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საკუთარი შემოსულობები, ხოლო რეაბილიტაციის ქვეპროგრამა უმეტესწილად ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერიდან და ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსების სახით.</p>					
პროგრამის მიზანი	მოსახლეობისთვის სასმელი წყლის მიწოდების გაუმჯობესება					
მოსალოდნელი შედეგი	გამუჯობესებული სასმელი წყლის მიწოდება					
შედეგის შეფასების ინდიკატორი	#	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკი	

	მუდგმივი სასმელი წყლით უზრუნველყოფილი მოსახლეობა	სასმელი წყალი მიეწოდება მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 85 %-ს. დანარჩენ მოსახლეობას წყალი მიეწოდება შეფერხებით.	სასმელი წყალი მიეწოდება მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 89 %-ს. დანარჩენ მოსახლეობას წყალი მიეწოდება შეფერხებით.	2% - შესაძლებელია არსებობდეს დროებითი შეფერხებები	
--	--	--	--	---	--

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია	დაფინანსება ათას ლარებში			
	02 02 01		2023 წ.	2024 წ.	2025 წ.	2026 წ.
			1122,5	350,0	400,0	450,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის და არქიტექტურის სამსახური					
ქვეპროგრამის აღწერა	<p>ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყლის სისტემების სრულ რეაბილიტაციას და ახლის მოწყობას.</p> <p>2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტში წყლის სისტემების რეაბილიტაციის მიმართულებით გათვალისწინებულია 377,7 ათ. ლარი:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- ტექნიკური ზედამხედველობა - 22,3 ათ. ლარი</li> <li>- სოფ. ხადორში სასმელი წყლის ქსელის მოწყობა - 44,0 ათ. ლარი</li> <li>- სოფ. ქისტაურში სასმელი წყლის შიდა ქსელის რეაბილიტაცია - 62,0 ათ. ლარი</li> <li>- სასმელი წყლის სათავე ნაგებობაზე საქლორატორების მოწყობა (1 ქისტაური 22,0 ათასი ლარი, 1 დუისი-19,0 ათასი ლარი) – 41,0 ათ. ლარი</li> <li>- ყვარელწყლისა და საკობიანოს ელ. ენერჯიაზე დაერთება 4,0 ათ. ლარი</li> <li>- საბუეს წყალსადენზე ელენერჯიის სიმძლავრის გაზრდის ხარჯი- 1,2 ათ. ლარი.</li> </ul>					

<p>ადგილობრივი ბიუჯეტიდან წყლის სისტემების რეაბილიტაციის მიმართულებით ნაშთის სახით აისახა :</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- სოფ. საკობიანოს ჭაბურღილის მოწყობა - 71,6 ათ. ლარი</li> <li>- სოფ. ყვარელწყალში ჭაბურღილის მოწყობა - 64,7 ათ. ლარი</li> <li>- სოფ. არგოხში ჭაბურღილის მოწყობა - 10,8 ათ. ლარი</li> <li>- სოფელ ომალოს (პანკისი) წყალსადენის რეაბილიტაციის თანადაფინანსება - 34,7 ათ. ლარი(ომალოს წყალსადენის თანადაფინანსება)</li> <li>- ტექნიკური ზედამხედველობის ნაშთი - 10,8 ათ. ლარი.</li> <li>- საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შემუშავება -10,6 ათასი ლარი</li> </ul> <p>საქართველოს მთავრობის 2022 წლის №926 განკარგულებით გამოყოფილი თანხის ნაშთი - სოფ. ომალოს წყალსადენის სათავე ნაგებობისა და ქსელის რეაბილიტაციისათვის შეადგენს - 115,9 ათ. ლარს, ხოლო ამავე ობიექტზე 2023 წელს სარეაბილიტაციო სამუშაოების გასაგრძელებლად 2023 წლის 9 თებერვლის N301 განკარგულებით გამოიყო 633,8 ათასი ლარი.</p>					
ქვეპროგრამის მიზანი		მოსახლეობისათვის სასმელი წყლის შეუფერხებელი მიწოდება			
მოსალოდნელი შედეგი		სასმელი წყლით შეუფერხებელი სარგებლობა			
შედეგის შეფასების ინდიკატორი	#	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკი
	მუდმივი სასმელი წყლით უზრუნველყოფილი მოსახლეობა	სასმელი წყალი მიეწოდება მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 85 %-ს. დანარჩენ მოსახლეობას წყალი მიეწოდება შეფერხებით.	სასმელი წყალი მიეწოდება მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 89 %-ს. დანარჩენ მოსახლეობას წყალი მიეწოდება შეფერხებით.	2% - შესაძლებელია არსებობდეს დროებითი შეფერხებები	

	კოდი		დაფინანსება ათას ლარებში
--	------	--	--------------------------

ქვეპროგრამის დასახელება	02 02 02	სასმელი წყლის სისტემის ექსპლუატაცია	2023 წ.	2024 წ.	2025 წ.	2026 წ.
			250.0	250,0	250,0	250,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახმეტის მუნიციპალიტეტის მერია, საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური					
ქვეპროგრამის აღწერა	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ჭაბურღილებზე მოხმარებული ელ. ენერჯის საფასურის გადახდა. 1 კვტ.სთ-ის ღირებულებაა 0.3196.</p> <p>ამჟამად მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 29 ჭაბურღილი და მიმდინარეობს 2 ახალი ჭაბურღილის მოწყობა, რომელიც უზრუნველყოფს 12 საათიან წყალმომარაგებას:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- სოფ. აწყურში 2 ჭაბურღილი - სარგებლობს 80%-მდე სოფლის მაცხოვრებელი;</li> <li>- ზემო ხოდაშენში 2 ჭაბურღილი - სარგებლობს 40%-მდე სოფლის მაცხოვრებელი;</li> <li>- ჩაბინაანი 1 ჭაბურღილი - სარგებლობს 100%-მდე სოფლის მაცხოვრებელი;</li> <li>- ოდლისი 1 ჭაბურღილი - სარგებლობს სოფელში მაცხოვრებელთა 100%</li> <li>- ხორხელი 1 ჭაბურღილი - სარგებლობს სოფელში მაცხოვრებელთა 100%</li> <li>- ხორხელი (იმერლიაანთუბანი) 1 ჭაბურღილი - სარგებლობს სოფელში მაცხოვრებელთა 100%;</li> <li>- ახშანი 1 ჭაბურღილი - სარგებლობს სოფელში მაცხოვრებელთა 50%;</li> <li>- ქისტაური 2 ჭაბურღილი - სარგებლობს სოფელში მაცხოვრებელთა 20%;</li> <li>- ახალშენი 1 ჭაბურღილი - სარგებლობს სოფელში მაცხოვრებელთა 100%;</li> <li>- საკობიანოში უკვე ფუნქციონირებს 1 ჭაბურღილი, რომლითაც სარგებლობს სოფელში მაცხოვრებელთა 30%, ასევე მიმდინარეობს მეორე ჭაბურღილის მოწყობა და დამატებით 30% ისარგებლებს.</li> <li>- ბაცილოვანი 1 ჭაბურღილი - სარგებლობს სოფელში მაცხოვრებელთა 100%;</li> <li>- წინუბანი 2 ჭაბურღილი - სარგებლობს სოფელში მაცხოვრებელთა 100%;</li> <li>- ხორბალო 1 ჭაბურღილი - სარგებლობს სოფელში მაცხოვრებელთა 100%;</li> <li>- ფიჩხოვანი 2 ჭაბურღილი - სარგებლობს სოფელში მაცხოვრებელთა 100%;</li> </ul>					

	<ul style="list-style-type: none"> <li>- მარაანი 1 ჭაბურღილი - სარგებლობს სოფელში მაცხოვრებელთა 100%;</li> <li>- ბაბანური 1 ჭაბურღილი - სარგებლობს სოფელში მაცხოვრებელთა 100%;</li> <li>- ალავერდი 1 ჭაბურღილი - სარგებლობს სოფელში მაცხოვრებელთა 100%;</li> <li>- კოლოთო 2 ჭაბურღილი - სარგებლობს სოფელში მაცხოვრებელთა 100%;</li> <li>- ოჟიო 3 ჭაბურღილი - სარგებლობს სოფელში მაცხოვრებელთა 100%;</li> <li>- ხადორი 1 ჭაბურღილი - სარგებლობს სოფელში მაცხოვრებელთა 100%;</li> <li>- ბირკიანი 1 ჭაბურღილი - სარგებლობს სოფელში მაცხოვრებელთა 10%;</li> <li>- სოფელ ყვარელში მიმდინარეობს 1 ჭაბურღილის მოწყობა</li> <li>- ისარგებლებს მაცხოვრებელთა 100%</li> </ul>				
ქვეპროგრამის მიზანი	მოსახლეობისათვის სასმელი წყლის შეუფერხებელი მიწოდება				
მოსალოდნელი შედეგი	სასმელი წყლით შეუფერხებელი სარგებლობა				
შედეგის შეფასების ინდიკატორი	#	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკი
	მუდგმის სასმელი წყლით უზრუნველყოფილი მოსახლეობა	სასმელი წყალი მიეწოდება მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 85 %-ს. დანარჩენ მოსახლეობას წყალი მიეწოდება შეფერხებით.	სასმელი წყალი მიეწოდება მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 89 %-ს. დანარჩენ მოსახლეობას წყალი მიეწოდება შეფერხებით.	2% - შესაძლებელია არსებობდეს დროებითი შეფერხებები	

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	დაფინანსება ათას ლარებში			
	02 02 03	2023 წ.	2024 წ.	2025 წ.	2026 წ.

		სოფლის წყლის სისტემების მოვლა-პატრონობა	557,0	600.0	670.0	735.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ააიპ ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფლის წყლის სისტემების მოვლა-პატრონობის ცენტრი					
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფლის წყლის სისტემების მოვლა-პატრონობის ცენტრი, რომელიც უზრუნველყოფს სოფლებში არსებული ჭაბურღილების მოვლა-პატრონობას და სასმელი წყლის ქსელების შეცვლა-შეკეთების სამუშაოების ჩატარებას (ძველი ქსელების შეცვლა ახლით). სასმელი წყლის სათავე ნაგებობების შეკეთება, გაწმენდა, წყლის დაქლორვას. ორგანიზაციაში დასაქმებული 40 თანამშრომლიდან ქალი არის 6, მამაკაცი 34.					
ქვეპროგრამის მიზანი	ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფლებში მოსახლეობისათვის სასმელი წყლის შეუფერხებელი მიწოდება					
მოსალოდნელი შედეგი	სასმელი წყლის სისტემის გამართული ფუნქციონირება					
შედეგის შეფასების ინდიკატორი	#	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკი	
	მუდმივი სასმელი წყლით უზრუნველყოფილი მოსახლეობა	სასმელი წყალი მიეწოდება მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 85 %-ს. დანარჩენ მოსახლეობას წყალი მიეწოდება შეფერხებით.	სასმელი წყალი მიეწოდება მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 89 %-ს. დანარჩენ მოსახლეობას წყალი მიეწოდება შეფერხებით.	2% - შესაძლებელია არსებობდეს დროებითი შეფერხებები		

კოდი	პროგრამის დასახელება	გარე განათება	დაფინანსება ათას ლარებში			
			2023 წ.	2024 წ.	2025 წ.	2026 წ.
02 03			674,0	670,0	720,0	770.0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის და არქიტექტურის სამსახური					



<p>პროგრამის აღწერა</p>	<p>დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის განათება. ქალაქისა და სოფლების ქუჩებში გარე განათების ახალი ქსელების მოწყობა. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარე განათების ქსელებზე გახარჯული ელექტრო-ენერჯის საფასურის გადახდა. გარე განათების მოვლა პატრონობას უზრუნველყოფს ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის გარე განათების სამსახური.</p> <p>მუნიციპალიტეტის 111 სოფლიდან თუშეთის სოფლებში და ბარის 5 სოფელში არ არის ელექტრო ენერჯია, მათში ელ. ენერჯით უზრუნველყოფა ხდება მზის პანელების მეშვეობით, ხოლო დანარჩენი სოფლებიდან, სადაც არსებობს ელ. ენერჯია, 6 სოფლის გარდა ყველგან არის მოწყობილი გარე განათების წერტილები, ეს 6 სოფელია: ვეძები, ხადორი, ხევისჭალა, ახალდაბა, ჩარექაული და კოჯორი. ამ სოფლებშიც მოსახლეობის მოთხოვნის შესაბამისად ეტაპობრივად განხორციელდება გარე განათების მოწყობა</p>														
<p>პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</p>	<p>პროგრამის მიზანია განათებული ქუჩებითა და გზებით მოსახლეობისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნა</p>														
<p>შედეგის შეფასების ინდიკატორი</p>	<table border="1"> <thead> <tr> <th>#</th> <th>საბაზისო მაჩვენებელი</th> <th>მიზნობრივი მაჩვენებელი</th> <th>ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)</th> <th>შესაძლო რისკი</th> </tr> </thead> <tbody> <tr> <td>დასახლებული პუნქტის განათებული ფართობი</td> <td>66</td> <td>67</td> <td>10%</td> <td>ელექტრო ენერჯის შეფერხებული მოწოდება</td> </tr> </tbody> </table>	#	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკი	დასახლებული პუნქტის განათებული ფართობი	66	67	10%	ელექტრო ენერჯის შეფერხებული მოწოდება				
#	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკი											
დასახლებული პუნქტის განათებული ფართობი	66	67	10%	ელექტრო ენერჯის შეფერხებული მოწოდება											

<p>ქვეპროგრამის დასახელება</p>	<p>კოდი</p>	<p>გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია</p>	<p>დაფინანსება ათას ლარებში</p>												
	<p>02 03 01</p>		<p>2023 წ.</p>	<p>2024 წ.</p>	<p>2025 წ.</p>	<p>2026 წ.</p>									
			<p>340,0</p>	<p>320,0</p>	<p>320,0</p>	<p>320,0</p>									
<p>ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური</p>	<p>ახმეტის მუნიციპალიტეტის მერია, საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური</p>														
<p>ქვეპროგრამის აღწერა</p>	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარე განათების ქსელებზე გახარჯული ელექტრო-ენერჯის საფასურის გადახდა.</p>														
<p>ქვეპროგრამის მიზანი</p>	<p>მოსახლეობის მიერ განათებული ქუჩებით სარგებლობა, უსაფრთხოება და კომფორტი</p>														
<p>შედეგის შეფასების ინდიკატორი</p>	<table border="1"> <thead> <tr> <th>#</th> <th>საბაზისო მაჩვენებელი</th> <th>მიზნობრივი მაჩვენებელი</th> <th>ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)</th> <th>შესაძლო რისკი</th> </tr> </thead> <tbody> <tr> <td>დასახლებული პუნქტის</td> <td>66</td> <td>67</td> <td>10%</td> <td>ელექტრო ენერჯის</td> </tr> </tbody> </table>	#	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკი	დასახლებული პუნქტის	66	67	10%	ელექტრო ენერჯის				
#	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკი											
დასახლებული პუნქტის	66	67	10%	ელექტრო ენერჯის											

	განათებული ფართობი			შეფერხებული მოწოდება
--	-----------------------	--	--	-------------------------

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათების მოვლა- პატრონობა	დაფინანსება ათას ლარებში			
	02 03 04		2023 წ.	2024 წ.	2025 წ.	2026 წ.
			334,0	350,0	400,0	450,0
ქვეპროგრამის განმახორციელებ ელი სამსახური	ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის გარე განათების სამსახური					
ქვეპროგრამის/დო ნისძიების აღწერა	<p>მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე ცენტრალურ და პერიფერიულ ქუჩებზე არსებული გარე განათების ხაზების მოვლა-პატრონობა. დაზიანებული ელ. ნათურების შეცვლა ენერგოეფექტური ელ. ნათურებით. ძველი ელ. სადენების შეცვლა იზოლირებული კაბელით (გასიპვა), თანამედროვე დიოდური სისტემების შეძენა, მონტაჟი.</p> <p>ორგანიზაციაში დასაქმებული 17 თანამშრომლიდან ქალი არის 5, მამაკაცი 12.</p>					
ქვეპროგრამის მიზანი	ახმეტის მუნიციპალიტეტში ღამის განათების გამართული ფუნქციონირება					
შედეგის შეფასების ინდიკატორი	#	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრ ივი მაჩვენებ ლი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკი	
	დასახლებული პუნქტის განათებული ფართობი	66	67	10%	ელექტრო ენერჯის შეფერხებულ ი მოწოდება	

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა- რეაბილიტაცია, ექსპლოატაცია	დაფინანსება ათას ლარებში
	02 05 01		2023 წ. 350,7

ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის და არქიტექტურის სამსახური
ქვეპროგრამის/ლონისძიების აღწერა	<p>საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა, რეაბილიტაცია, ექსპლოატაციის მიმართულებით ადგილობრივი ბიუჯეტიდან გათვალისწინებულია 350,7 ლარით დაფინანსება:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ქ. ახმეტაში გაგარინის ქუჩაზე სკვერის მოწყობა - 73,0 ათ. ლარი</li> <li>• ქ. ახმეტაში სააკაძის ქუჩაზე არსებული სკვერის რეაბილიტაცია - 47,0 ათ. ლარი</li> <li>• ქ. ახმეტაში ლეონიძის ქუჩაზე არსებული სკვერის რეაბილიტაცია - 109,0 ათ. ლარი</li> <li>• ქ. ახმეტაში "კვირიკეს" ეკლესიის მიმდებარედ არსებული სკვერის რეაბილიტაცია - 39,0 ათ. ლარი</li> <li>• სოფ. ზემო ალვანში ადმინისტრაციული შენობის მიმდებარედ არსებული სკვერის რეაბილიტაცია - 63,0 ათ. ლარი</li> <li>• ტექნიკური ზედამხედველობის ხარჯი - 3,0 ათ. ლარი</li> <li>• საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის ხარჯი-6,7 ათსი ლარი</li> </ul> <p>აღნიშნულ სკვერებში მოეწყობა საბავშვო ატრაქციონები, ბილიკები, განათება და სკამები.</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში, ასევე ფინანსდება სკვერებში გახარჯული წყლის გადასახადი 10,0 ათ. ლარით.</p>
ქვეპროგრამის მიზანი	მოეწყობა საზოგადოებრივი სივრცეები

კოდი	პროგრამის დასახელება	ტურიზმი	დაფინანსება ათას ლარებში			
02 07			2023 წ.	2024 წ.	2025 წ.	2026 წ.
			1 588,1	529.5	529.5	529.5
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახური					
პროგრამის აღწერა	<p>ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიაში ფუნქციონირებს ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის და საერთაშორისო პროექტების განყოფილება, რომელიც უცხოელ და ადგილობრივ ტურისტებს აწვდის ინფორმაციას ტურისტული ინფრასტრუქტურის, ტურისტული ადგილების, ტურისტული პროგრამების, ტრანსპორტის, ბუნების ძეგლების, დაცული ტერიტორიების, არქიტექტურული და არქეოლოგიური ძეგლების, კულტურული ღონისძიებების, ფესტივალების, სახალხო დღესასწაულებისა და სხვა საკითხების შესახებ.</p>					

	<p>ახმეტის მუნიციპალიტეტში განვითარებული ტურიზმის შემდეგი სახეობები:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ საფეხმავლო ტურიზმი;</li> <li>➤ საცხენოსნო ტურიზმი;</li> <li>➤ ეკო ტურიზმი;</li> <li>➤ აგრო ტურიზმი.</li> </ul> <p>ტურიზმის ხელშეწყობის მიზნით კახეთის მუნიციპალიტეტებმა დაარსეს ორგანიზაცია ა(ა)იპ „კახეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია - ვიზით კახეთი“. აღნიშნული ა(ა)იპ-ის მიზანია ტურიზმის დაგეგმვა და განვითარება, კახეთის რეგიონის უნიკალური თვისებების გამოყენება, როგორცაა უძველესი ღვინის კულტურა და ღვინის წარმოების ტრადიციები, ადგილობრივი სამზარეულო, ლამაზი სოფლები, კახეთის უნიკალური ბუნება. ამით სარგებლობას იღებს როგორც ტურისტი ასევე ადგილობრივი დაინტერესებული მხარეები. ასევე, პროგრამის ფარგლებში მოეწყობა სხვადასხვა ტურისტული ინფრასტრუქტურა.</p>
<p>პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</p>	<p>ტურიზმის განვითარება და ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების ხელშეწყობა</p>

<p>ქვეპროგრამის დასახელება</p>	<p>კოდი</p>	<p>ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა</p>	<p>დაფინანსება ათას ლარებში</p>
	<p>02 07 01</p>		<p>2023 წ.</p>
	<p>1558,6</p>		
<p>ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური</p>	<p>ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახური</p>		
<p>ქვეპროგრამის/ლონისძიების აღწერა</p>	<p>ქვეპროგრამაში გათვალისწინებულია საერთაშორისო გრანტის თანადაფინანსება შემდეგ ღონისძიებებზე :</p> <p>-ბახტრიონის ტყე პარკი და გადმოსახედის მოწყობა (GIZ)  პროექტი ითვალისწინებს ახალი ეკოტურისტული სივრცის შექმნას, სადაც მოეწყობა გადასახედი, საპიკნიკე, საკემპინგე, მინი სცენა, გამოფენა სივრცე და სხვა მოსასვენებელი და გასართობი სივრცე, ასევე მისასვლელი გზა, პარკინგი, წყარო და სველი წერტილები  -წოვათას გზის პროექტი  წოვათას ხეობის მისასვლელი გზის საპროექტო სამუშაოები (UNDP)  -ახმეტის ტურისტული ბილიკი - „ილტოს ხეობა - ტბათანა“</p>		

ევო სათავგადასავლო მარშრუტის გეგმარება, მოწყობა მარკირება (LAG)  
-ახმეტის ლედ ეკრანის მოწყობა ჩოლოყაშვილის სკვერში სცენაზე (UNDP/ NALA)

პროექტი ითვალისწინებს ლედ ეკრანის მოწყობას სდაცა მოეწყობა კინო

ჩვენებები, მერის ანგარიშის წარდგენა, ახმეტაზე მუდმივად გავა ინფორმაცია და ასევე შესაძლებელია მასზე რეკლამის გაშვება რაც შემოსავალსაც მოუტანს მუნიციპალიტეტს.

-ქისტაურის სპორტული დარბაზის ცენტრის აღჭურვა სავარჯიშო ინვენტარით და ტექნიკით (ბულგარეთის საელჩო)

პროექტი ითვალისწინებს, რეაბილიტირებული ქისტაურის სპორტული

დარბაზის აღჭურვას სავარჯიშო ინვენტარით

-კვეტერის ტურისტული კომპლექსისთვის ელექტრო მობილის შექმნა (GIZ)

რადგან ახლად რეაბილიტირებული კვეტერის ასასვლელი დაიკეტა მანქანებისთვის აუცილებელია ელექტრომობილის მომსახურების დამატება რათა ვისაც არ შეუძლია 800-1000 მეტრის ასვლა შვთავაზოთ ალტერნატივა ტრანსპორტირებისთვის

ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობის მიზნით საქართველოს მთავრობის 2021 წლის №1419 განკარგულებით გამოყოფილი თანხებიდან მორჩენილი ნაშთის ოდენობა შეადგენს 1215,5 ათ. ლარს. აქედან:

- ქ. ახმეტაში ბიძინა ჩოლოყაშვილის სახელობის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე ადგილობრივი ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურის მოწყობა - 277,8 ათ. ლარი
- ციხე-ქალაქ კვეტერას ხელმისაწვდომობის გაზრდის ხელშემწყობა და პოპულარიზება მიმდებარე ტერიტორიაზე ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობით - 843,1 ათ. ლარი
- თუშეთში „ხითანას“ ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა - 94,5 ათ. ლარი (2021 წლის ნაშთი )

ადგილობრივი ბიუჯეტიდან იგეგმება აღნიშნული პროექტების თანადაფინანსება და ტექნიკური ზედამხედველობის ხარჯი მ.შ. კვეტერას თანადაფინანსება 148,4 ათასი ლარი, ბიძინა ჩოლოყაშვილის სახელობის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიის სამუშაოების თანადაფინანსება 1,3 ათასი ლარი, ხითანას თანადაფინანსება 1,5 ათასი ლარი, საზედამხედველო 42,0 ათასი ლარი

ქვეპროგრამის მიზანი და საბოლოო შედეგი	დონორებისგან დაფინანსებული პროექტებისთვის თანადაფინანსების თანხა. UNDP, GIZ, EU და ა.შ.

### დასუფთავება და გარემოს დაცვა

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარემოს დასუფთავება და ნარჩენების გატანა, გარემოს დაცვა, კაპიტალური დაბანდებები დასუფთავების სფეროში. დაფინანსდება აღნიშნულთან დაკავშირებული ხარჯები. შესაბამისად პრიორიტეტის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის სანიტარული წესრიგის შენარჩუნება და გაუმჯობესება; ნარჩენების სრული იზოლირება მოსახლეობისა და გარემოსაგან; სკვერებში ბალახის გათიბვა ქალაქისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე; ქალაქში არსებული სასაფლაოების მოვლა-დასუფთავება. თუშეთის დაცული ლანდშაფტის მოვლა-პარონობა; მდინარეების კალაპოტის რეგულირება, სანიაღვრე არხების მოწყობა.

პროგრამის დასახელება	კოდი	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	დაფინანსება ათას ლარებში			
	03 01		2023 წ.	2024 წ.	2025 წ.	2026 წ.
			1139,3	1210.0	1331.0	1463.0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური					
პროგრამის აღწერა	პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში ეკოლოგიურად სუფთა გარემოს უზრუნველყოფა, ნარჩენების შეგროვებისა და გატანის ეფექტური სისტემის დანერგვა. მუნიციპალიტეტის განვითარებისთვის აუცილებელია მისი იერსახის ჰიგიენური და ესთეტიური მოწესრიგება, ქუჩებსა და სკვერებში სისუფთავის დაცვა, ეპიდემიური დაავადებების კერების მოსპობა. ნარჩენების სწორად მართვა და დახარისხება, განხორციელდება ცალკეული ტერიტორიების მწვანე საფარის, ქუჩებისა და სხვა საჯარო სივრცეების დაგვა-დასუფთავების, მორწყვა-მორეცხვის, სანიაღვრე არხების ნატანისაგან გაწმენდის სამუშაოები.					

<p>ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ყოველდღიურად დაგვა დასუფთავებას და ნარჩენების გატანას. იგეგმა ქ. ახმეტის ქუჩები, რომლის საერთო ფართობი 97000 კვ.მ, ასევე სოფელ მატანის და ზემო და ქვემო ალვანის ქუჩები. კვირაში სამჯერ სუფთავდება ცენტრალური გზები გადანაყარისაგან. ხდება სანიაღვრე არხების გაწმენდა, რომლის საერთო სიგრძეა 430 კმ, გრაფიკის მიხედვით ხორციელდება ნარჩენების გატანა გულგულის ნაგავსაყრელზე. პერიოდულად ითიბება ცენტრალური ქუჩების მიმდებარე ტერიტორიები და სუფთავდება ანასხლავი ტოტებისგან.</p> <p>ორგანიზაციაში დასაქმებული 93 თანამშრომლიდან ქალი არის 48, მამაკაცი 45.</p>
--

პროგრამის მიზანი ახმეტის მუნიციპალიტეტში სუფთა გარემოს უზრუნველყოფა

დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკი
მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ფართობი, სადაც ხორციელდება სადუფთავების სერვისი.	400 კვ.კმ	400 კვ.კმ	5%	უამინდობა
წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან გატანილი ნარჩენების რაოდენობა	8150 ტ	8300 ტ	3%	სპეცტექნიკის გაუმართაობა

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	თუშეთის დაცული ლანდშაფტი	დაფინანსება ათას ლარებში			
	03 02 01		2023 წ.	2024 წ.	2025 წ.	2026 წ.
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ა(ა)იპ "თუშეთის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაცია"	575,1	680.0	750.0	825.0

ქვეპროგრამის აღწერა

"ახმეტის მუნიციპალიტეტი ქვეყანაში ერთადერთი მუნიციპალიტეტია, რომელიც მართავს დაცულ ტერიტორიას, კერძოდ, თუშეთის დაცული ლანდშაფტს. თუშეთის დაცული ლანდშაფტი მიეკუთვნება ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN) დაცული ტერიტორიების მართვის V კატეგორია და მისი ფართობი მოიცავს 32035 ჰა ტერიტორიას, აქედან 5029 ჰა-ს შეადგენს ტყე, რომელსაც ასევე მართავს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერია, რაც ასევე არის პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი პრევენდენტი, ტყის მუნიციპალური მმართველობისა. თუშეთის დაცული ლანდშაფტის ტერიტორია მოიცავს ჰაბიტატებს, რომლებიც „ზურმუხტის ქსელის“ (GE0000008) ნაწილია, კავკასიის ეკორეგიონული კონსერვაციის გეგმის (Ecoregional Conservation Plan (ECP) For The Caucasus 2020 Edition) მიხედვით, წარმოადგენს საკონსერვაციო ლანდშაფტის „დასავლეთ მცირე კავკასიონის“ ნაწილს და საკვანძო ბიომრავალფეროვნების ადგილს (Key Biodiversity Area – Tusheti 104), აგრეთვე, თუშეთის დაცული ლანდშაფტის ტერიტორია მოქცეულია ფრინველთა სპეციალური დაცული ტერიტორიის ფარგლებში (SPA 08; IBA GEO22-GEO23) და არის „სამი ალაზნის ბიოსფერული რეზერვატის“ მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი. ა(ა)იპ თუშეთის დაცული ლანდშაფტის ამ უდიდესი და მსოფლიო მნიშვნელობის სივრცის სამართავად არის შექმნილი ა(ა)იპ. „თუშეთის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაცია“ რომლის მენეჯმენტის გეგმაც დამტკიცებულია მთავრობის დადგენილებით და მასში განსაზღვრულია შემდეგი მიზნები და ამოცანები: უნიკალური ეკოსისტემების, ცალკეული ბუნებრივი კომპონენტების ანთროპოგენიზაციის შედეგად გადაგვარება-დაღუპვისგან დაცვა; უმდიდრესი ეროვნული მემკვიდრეობის – ხალხური ხუროთმოძღვრების ძეგლთა და ისტორიულ-კულტურული ლანდშაფტის შენარჩუნება; ხალხური შემოქმედების ტრადიციათა შენარჩუნება და განვითარება. თუშეთის უნიკალური ისტორიული დასახლებების ტრადიციული იერსახის შენარჩუნება, დაცული ლანდშაფტის ტერიტორიაზე სივრცითი დაგეგმარების სისტემის შემუშავება, ადგილობრივი მოსახლეობისათვის საშუა და სამასალე მერქნის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, ტყის მავნებლების გამრავლებისა და ხანძრების თავიდან აცილების ეფექტური სისტემების შემუშავება, ტრადიციული სასოფლო-სამეურნეო პოტენციალის შესწავლა და განვითარების მხარდაჭერა. თუშეთში მუდმივმაცხოვრებელი მოსახლეობის მოტივირება, სამოვრების მდგრადი მართვის სისტემის შექმნა, ძირითადი ტურისტული ბილიკებისა და ინფრასტრუქტურის შექმნა, თუშეთის ენდემური მცენარეული კულტურებისა და ცხოველთა ჯიშების (თუშური ცხვარი, თუშური ცხენი) დაცვის სტრატეგიის შემუშავება, დაცულ ლანდშაფტში გადაშენების საფრთხის ქვეშ მყოფი სახეობების სტაბილური რაოდენობის უზრუნველყოფა. ვინაიდან, ზემოაღნიშნულ ამოცანათა გადასაჭრელად ადმინისტრაციის საბაზისო ბიუჯეტი საკმარისი არ არის, საჭირო ღონისძიებათა უდიდესი ნაწილი ფინანსდება საერთაშორისო ფონდებისა და გარემოსდაცვითი ორგანიზაციების მიერ. ააიპ „თუშეთის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაცია“-ის სტრატეგიას წარმოადგენს საკუთარი სახსრების მოზიდვა მისი წესდებით ნებადართული საქმიანობით: სატყეო მომსახურება, დაცულ ტერიტორიაზე შესასვლელი ნებაყოფლობითი გადასახადის დაწესება და ა.შ. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ სარგებელი რომელსაც ახმეტის მუნიციპალიტეტს და მის მოსახლეობას მოუტანს ააიპ. „თუშეთის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაცია“-ის გამართული მუშაობა, არ გამოიხატება



	<p>ციფრობრივ-რაოდენობრივი ინდიკატორებით, არამედ უნდა შეფასდეს ხარისხობრივი - გარემოსდაცვითი ინდიკატორებით.</p> <p>2. თუშეთის შიდა გზებს ყოველწლიურად ესჭიროება აღდგენა-რეაბილიტაცია, რის გამოც თდლ-ს ადმინისტრაციას გადმოეცა სამი ერთეული საგზაო ტექნიკა და კონკრეტული ფინანსური რესურსი.</p> <p>ზემო აღნიშნული ფინანსურ-ტექნიკური რესურსის მეშვეობით, თდლ-ს ადმინისტრაციამ არამხოლოდ უზრუნველყო ყოველწლიური გზის გაწმენდა- შენარჩუნება სეზონის განმავლობაში, არამედ შეძლო წლების მანძილზე საავტომობილო გზის გარეშე მყოფი ხეობებისა და სოფლების (წოვათის ხეობის 7 და გომეწრის 1 სოფელი) გარესამყაროსთან დაკავშირება. მოიხრეშა წლების განმავლობაში დახრამული ქუჩები და ამოიცვალა დაზიანებული ხიდ-ბოგირები. ადმინისტრაციის ტექნიკა, ექსკავატორი თუ თვითმცლელი ემსახურება ადგილობრივს სხვადასხვა კერძო სამუშაოების შესასრულებლად.</p> <p>ორგანიზაციაში დასაქმებული 17 თანამშრომლიდან ქალი არის 6, მამაკაცი 11.</p>				
<p>ქვეპროგრამის მიზანი</p>	<p>ქვეპროგრამის მიზანია თუშეთის, როგორც ზოგადსაკაცობრიო საუნჯის, უნიკალური ბიომრავალფეროვნების დაცვისა და UNESCO – ს მსოფლიო მემკვიდრეობის უზნის შენარჩუნება და განვითარება საყოველთაო ხელწვდომის პირობებში.</p>				
<p>მოსალოდნელი შედეგი</p>	<p>ზემოაღნიშნულ ღონისძიებათა განსახორციელებლად შეიქმნება შესაბამისი მართვის ინსტრუმენტები სახელმძღვანელოები, გზამკვლევები, მეგზურები და ინფრასტრუქტურა; მაგალითად: შემუშავდა თუშეთის სივრცითი დაგეგმვის 10 წლიანი დოკუმენტი, შეიქმნა ტრადიციული მშენებლობის სახელმძღვანელო გაიდ-ლაინი, შეიქმნა თუშეთში არსებული უნიკალური ტყის 10 წლიანი მართვის გეგმა, მუშავდება თუშეთის საძოვრების მართვის გეგმა და ძოვების ნორმატივები, შეიქმნა და უნდა გაფართოვდეს თუშეთის ტურისტული ბილიკების ქსელი, სხვადასხვა ხეობაში მოეწყობა საკემპინგე-საპიკნიკე ადგილიები. ბიომრავალფეროვნების მოწყვლად სახეობებზე დაინერგება მონიტორინგისა და პატრულირების ახალი სისტემები. ხელი შეეწყობა ტრადიციული სოფლის მეურნეობის დარგების მომთაბარე მეცხვარეობისა და მესაქონლეობის განვითარებას, ტრადიციული ხორბლისა და მარცვლეული კულტურების მოყვანას, ტრადიციული ხელსაქმის შენარჩუნებას. გაგრძელდება მუშაობა დაცული ლანდშაფტის გაფართოებაზე „ტბათანას“ ტერიტორიის მიერთებით</p>				
<p>შედეგის შეფასების ინდიკატორი</p>	<p>ინდიკატორების აღწერა#</p>	<p>საბაზისო მაჩვენებელი</p>	<p>მიზნობრივი მაჩვენებელი</p>	<p>ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)</p>	<p>შესაძლო რისკი</p>

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ტყე-პარკებისა და სასაფლაოების მართვის ცენტრი	დაფინანსება ათას ლარებში			
	03 02 02		2023 წ.	2024 წ.	2025 წ.	2026 წ.
			372,2	330,0	350,0	385,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის ტყე-პარკებისა და სასაფლაოების მოვლა-პატრონობის ცენტრი					
ქვეპროგრამის აღწერა	<p>ორგანიზაცია ახორციელებს ახმეტის მუნიციპალიტეტის ტყე-პარკების („წყაროების“, „ბახტიონის“, „შვეიცარიის“, „ხორხლის“) და სასაფლაოებზე მისასვლელი ბილიკების დაგვა და დასუფთავებას, გამწვანებას, ამორტიზირებული ხეების მოჭრას, უპატრონო მიცვალებულებისათვის გამოყოფილი ადგილის დასუფთავებას. ხდება ტყე-პარკი „წყაროების“ ტერიტორიის შენობა-ნაგებობების მოვლა-პატრონობა, რეგულარული დაგვა-დასუფთავება და გამწვანება. ასევე სოციალურად დაუცველი ოჯახების სხვადასხვა სახის დახმარება, (სახურავის შერემონტება, შეშით დახმარება). ტყე-პარკ „წყაროებში“ წელიწადში ხდება 3-4 ჯერ გათიბვა, გაწმენდა ეკალ-ბარდისგან, სეზონზე ყოველდღიურად დაგვა-დასუფთავება მთელ ტერიტორიაზე. ტყე-პარკ „ბახტიონის“ გაწმენდა ბალახისა და ჯაგნარისაგან გაზაფხულსა და გვიან შემოდგომაზე. შედარებით ნაკლები სამუშაოების ჩატარება გვიწევს ტყე-პარკ „შვეიცარიისა“ და ტყე-პარკ „ხორხელში“. ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ახმეტის 3 და 1 საბეროს სასაფლაოების ყოველ გაზაფხულზე, შუა ზაფხულსა და გვიან შემოდგომაზე გათიბვა, გაწმენდა ეკალ -ბარდისგან.</p> <p>ორგანიზაციაში დასაქმებული 34 თანამშრომლიდან ქალი არის 7, მამაკაცი 27.</p>					
ქვეპროგრამის მიზანი	ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოვლილი ტყე-პარკები და სასაფლაოები.					
შედეგის შეფასების ინდიკატორი	#	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკი	
	მუნიციპალური ტყე-პარკებისა ფართობი სადაც ხორციელდება მოვლა-პატრონობის ღონისძიებები	108 ჰა	108 ჰა.	1%	სხვა დავალების შესრულების გამო.	

	მუნიციპალური სასაფლაოების ფართობი სადაც ხორციელდება მოვლა-პატრონობის ღონისძიებებისასაფ ლაოების ტერიტორიაა	273ა	273ა	0%	
--	--	------	------	----	--

კოდი	პროგრამის დასახელება	კაპიტალური დაბანდებები გარემოს დაცვის სფეროში	დაფინანსება ათას ლარებში			
			2023 წ.	2024 წ.	2025 წ.	2026 წ.
03 03			1540,7	825,0	750,0	900,0
<b>პროგრამის განმახორციელებელი სამსახური</b>		ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის და არქიტექტურის სამსახური				
<b>პროგრამის აღწერა</b>		პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარემოს დაცვის მიმართულებით, ისეთი ქვეპროგრამები როგორცაა სანიაღვრე არხების მოწყობა, ხევების გაწმენდა ნატანისგან, სპეც. ტექნიკისა და ინვენტარის შექმნა, სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია				
<b>პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</b>		უსაფრთხო გარემოს შექმნა				

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	სანიაღვრე არხების მოწყობა, რეაბილიტაცია	დაფინანსება ათას ლარებში			
			2023 წ.	2024 წ.	2025 წ.	2026 წ.
03 03 04			173,5	200,0	250,0	300,0
<b>ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური</b>		ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის და არქიტექტურის სამსახური				
<b>ქვეპროგრამის აღწერა</b>		ქვეპროგრამით განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სანიაღვრე არხების მოწყობა - რეაბილიტაცია, რის შედეგად უხვი ნალექების პირობებში მოსახლეობა დაცული იქნება ეზოების და პირველი სართულების დატბორვისგან. კომფორტული გახდება აღნიშნული გზით მოსარგებლე მოსახლეობის გადაადგილება.  2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტში სანიაღვრე არხების მოწყობის მიმართულებით გათვალისწინებულია 173,5 ათ. ლარი: <ul style="list-style-type: none"> <li>• სოფელ მატანში რკინა-ბეტონის სანიაღვრე არხების მოწყობა - 83,5 ათ. ლარი</li> </ul>				

	<ul style="list-style-type: none"> <li>• სოფელ ბაბანეურში რკინა-ბეტონის სანიაღვრე არხების მოწყობა - 10,0 ათ. ლარი</li> <li>• ქ. ახმეტაში რკინა-ბეტონის სანიაღვრე არხების მოწყობა - 74,5 ათ. ლარი</li> <li>• საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა - 1,5 ათ. ლარი</li> <li>• ტექნიკური ზედამხედველობა - 4,0 ათ. ლარი</li> </ul>
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	უსაფრთხო გარემოს შექმნა

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია, ექსპლუატაცია	დაფინანსება ათას ლარებში			
			2023 წ.	2024 წ.	2025 წ.	2026 წ.
03 03 04			779,3	200	250.0	300.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის და არქიტექტურის სამსახური				
ქვეპროგრამის აღწერა		<p>ქვეპროგრამით განხორციელდება მდინარეებსა და ხევებზე ნაპირსამაგრი სამუშაოების ჩატარება. მოწყობა ქვის გაბიონები საჭიროებისამებრ, რათა სამომავლოდ უზრუნველყოფილი იყოს სტიქიის პრევენცია. ხოლო სტიქიის შედეგად მინიმალური ზიანი მიადგეს როგორც სასოფლო სამეურნეო სავარგულებს, ასევე საცხოვრებელ სახლებსა და ეზოებს.</p> <p>2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტში ნაპირსამაგრი სამუშაოების მიმართულებით გათვალისწინებულია 271,4 ათ. ლარი:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• სოფ. ზემო ალვანის სასმელი წყლის სათავე ნაგებობის დაცვის მიზნით ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა - 79,5 ათ. ლარი</li> <li>• სოფ. ომალოში მდ. ალაზანზე ნაპირსამაგრი ნაგებობის მოწყობა - 65,0 ათ. ლარი</li> <li>• ქ. ახმეტაში მდ. ილტოზე ნაპირსამაგრი ნაგებობის მოწყობა - 37,5 ათ. ლარი</li> <li>• ტექნიკური ზედამხედველობა - 31,7 ათ. ლარი</li> <li>• საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა - 2,5 ათ. ლარი</li> <li>• რეგ. ფონდების თანადაფინანსება-55,2 ათ. ლარი</li> </ul> <p>ქ. ახმეტაში ალაზნის სარწყავ არხზე დამცავი ზღუდარების მოწყობის სამუშაოებისთვის 2023 წლის რეგ. პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხის მოცულობა შეადგენს 400,3 ათ. ლარს, ხოლო</p>				

	საქართველოს მთავრობის 2022 წლის №75 განკარგულებით გამოყოფილი თანხის ნაშთი 107,7 ათ. ლარი.
ქვეპროგრამის მიზანი და მისაღწეული შედეგი	უსაფრთხო გარემოს შექმნა

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	სპეც. ტექნიკისა და ინვენტარის შექმნა	დაფინანსება ათას ლარებში			
			2023 წ.	2024 წ.	2025 წ.	2026 წ.
03 03 03			587,9	425,0	250.0	300.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ახმეტის მუნიციპალიტეტის მერია				
ქვეპროგრამის აღწერა		<p>მთიანი და ფართოდ გაშლილი რელიეფის გამო მუნიციპალიტეტის სოფლები მნიშვნელოვანი მანძილითაა დაშორებული მუნიციპალიტეტის ცენტრიდან . ყველა საჭირო მუნიციპალური სერვისით რომ ისარგებლოს მოსახლეობამ (მაგალითად საავადმყოფო, სამხატვრო თუ სახელოვნებო სკოლები, სხვადასხვა საზოგადოებრივი ცენტრები, ) ხშირად უწყვეტ დიდი მანძილის ფეხით გავლა და ამასთან მნიშვნელოვანი დროის დაკარგვა . კერძო სექტორის სატრანსპორტო კომპანია აღნიშნული სერვისით არ არის დაინტერესებული. ამისათვის შეიქმნა საჭიროება საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარების, შეძენილი იქნას ავტობუსები რომ მოქალაქეებმა, სოციალურად დაუცველმა პირებმა, პენსიონერებმა, ქალებმა, კაცებმა ბავშვებმა, შშმ პირებმა საზოგადოებრივი ტრანსპორტით ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე ,დროის მცირე დანაკარგებით შეძლონ გადაადგილება რათა არ იყოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განლაგებული არცერთი სერვისით სარგებლობა ძნელად მიღწევადი.</p> <p>აღნიშნულიდან გამომდინარე დაუგეგმა სამი ერთეული სამგაზვრო ავტობუსის შექმნა,ორი ავტობუსი შეძენილი უნდა იქნას ადგილ ბიუჯეტის სახსრებით (270,0 ათასი ლარი),ხოლო მესამე სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით. რის გამოც2023 წლის 9 ივნისის N1085 განკარგულებით მუნიციპალიტეტს გამოეყო 137,4 ათასი ლარი.</p>				

	<p>კონსოლიდირებული ტენდერის პირობების შესაბამისად, თითოეულ შეძენილი ავტობუსის 2023 წელს ასანაზღაურებელი თანხა შეადგენს სრული ღირებულების 40 %-ს, 2024 წელს - სრული ღირებულების 30%-ს, 2025 წელს 30%-ს.</p> <p>დასახლებული ტერიტორიიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეუფერხებლად გატანის მიზნით შეძენილ უნდა იქნეს 16 მ<sup>3</sup> მოცულობის ნაგავმზიდი (4*2-ზე თვლების ფორმულით). საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ინფორმაციით, ერთი ერთეული ნაგავმზიდის ღირებულება იქნება 396 180 ლარი. ტენდერის პირობების შესაბამისად, 2023 წელს ასანაზღაურებელი თანხა შეადგენს სრული ღირებულების 40%-ს, ხოლო 2024 წელს - სრული ღირებულების 60%. აღნიშნულის თანახმად, „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 15 სექტემბრის №1640 განკარგულების მიხედვით, ახმეტის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილია კაპიტალური ტრანსფერი 158 472 (ასორმოცდათვრამეტი ათას ოთხას სამოცდათორმეტი) ლარი</p>
<p>ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</p>	<p>მუნიციპალურ ტრანსპორტზე ხელმისაწვდომობა</p>

## განათლება

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, ინვენტარით უზრუნველყოფა, რეაბილიტაცია, აღმზრდელ-პედაგოგების კვალიფიკაციის გაზრდა, რათა მყარი საფუძველი ჩაეყაროს სკოლამდელი ასაკის აღსაზრდელების ხარისხიან და ეფექტურ მომზადებას სასკოლო განათლების მისაღებად.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი დაწესებულების ფუნქციონირება	დაფინანსება ათას ლარებში			
	04 0101		2023 წ.	2024 წ.	2025 წ.	2026 წ.
			3831.6	3990.0	4374.0	4800.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	<b>ა.ა.ი.პ. "ახმეტის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების ცენტრი"</b>					
ქვეპროგრამის აღწერა	<p>ქვეპროგრამის აღწერა: სამოქმედო პროგრამა ძირითადად მოიცავს 3 მიმართულებას:</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. სასწავლო სააღმზრდელო სისტემის სრულყოფა;</li> <li>2. სრულფასოვანი მრავალმხრივი კვებითი ღირებულების მენიუ. მისი ყოველდღიური დაცვა და კონტროლი;</li> <li>3. ბავშვებში ცხოვრების ჯანსაღი წესის და გარემოზე ზრუნვის უნარების ჩამოყალიბება. გარდა იმისა რომ სკოლამდელი დაწესებულებების საშუალებით სახელმწიფო ზრუნავს ბავშვთა სრულყოფილ განვითარებასა და განათლებაზე, საბავშვო სკოლამდელი დაწესებულებების არსებობა ხელს უწყობს ბავშვის მშობლებს, მუნიციპალიტეტის ქალებს გამონახონ დრო და შვილების აღზრდასთან ერთად დაკავდნენ საზოგადოებრივი ცხოვრებით. მოახდინონ თვითრეალიზაცია, დასაქმდნენ ამათუი სფეროში და მიიღონ შემოსავალი.</li> </ol> <p>2022 წლის მონაცემებით ახმეტის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 36 საბავშვო ბაღი. გენდერული სტატისტიკით რეგისტრირებული 1219 ბავშვიდან გოგონათა რაოდენობაა 577, ბიჭების 642ყოველდღიური დასწრება საშუალოდ არის 900 ბავშვი. კვების თანხა 2023 წელს გათვალისწინებული იქნება დღეში 4.3 ლარი, 180 დღეზე სულ 700000 ლარი.</p> <p>სულ სკოლამდელ დაწესებულებებში დასაქმებულია 373 თანამშრომელი, მათ შორის. ქალბატონი- 347, მამაკაცი - 26</p>					
ქვეპროგრამის მიზანი	<p><b>პირველი პუნქტის განხორციელებისათვის საჭიროა არსებული სივრცის რადიკალური ცვლილებები, რომელიც მოიცავს ინფრასტრუქტურის ძირეულ განახლებას (შენობები, ეზოები, ინსტრუმენტები და აშ).</b></p> <p><b>ა) ინკლუზიური განათლების დანერგვა.</b></p> <p><b>ბ) აღმზრდელ-პედაგოგთა კორპუსის განახლება-ჩანაცვლება ახალგაზრდა კადრებით მათი გადამზადება თანამედროვე სტანდარტების მოთხოვნათა შესაბამისად.</b></p> <p><b>მეორე პუნქტის განხორციელებისათვის საჭიროა</b></p> <p><b>ა) სრულფასოვანი მრავალმხრივი კვებითი ღირებულების მენიუ. მისი ყოველდღიური დაცვა და კონტროლი.</b></p> <p><b>მესამე პუნქტის განხორციელებისათვის საჭიროა:</b></p> <p><b>ა) ფიზკულტურა;</b></p> <p><b>ბ) სისტემატურად აქტივობების ჩატარება ღია სივრცეში გასეირნებები და ექსკურსიები.</b></p>					
	#	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი	ცდომილები	შესაძლო რისკი	
			30	ს ალბათობა (%/აღწერა)		

			მაჩვენებელი		
შედეგის შეფასების ინდიკატორი	პირველ კლასში შესასვლელად მომზადებული ბავშვთა რაოდენობა	420	438	5%	მთავარი რისკი პროგრამის განსახორციელებლად არის არასრული დაფინანსება, ასევე ა) შესყიდვებთან დაკავშირებული (ჩაშლილი ტენდერები და გვიანებული, დროში გაწეილი.) ბ) არაკეთილსინდისიერი მომწოდებლები „პროდუქტების შეფერხებით მოწოდება, უხარისხო და ვადაგასული პროდუქტების შემოტანის მცდელობები.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი დაწესებულების რეაბილიტაცია	დაფინანსება ათას ლარებში			
	040102		2023 წ.	2024 წ.	2025 წ.	2026 წ.
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური			2 017,3	400.0	611.5	396.6
ქვეპროგრამის აღწერა	<p>ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის და არქიტექტურის სამსახური</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საბავშვო ბაღების სრული რეაბილიტაცია და კეთილმოწყობა. ადგილობრივი ბიუჯეტიდან ხდება პროექტების თანადაფინანსება, მზდდება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია და ფინანსდება ტექნიკური ზედამხედველობის ხარჯი.</p> <p>2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით ბაღების რეაბილიტაციის მიმართულებით გათვალისწინებულია 629,1 ათასი ლარი</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• სოფ. ახალშენის საბავშვო ბაღში მოეწყობა სასაწყობო ოთახი და რეაბილიტაცია ჩატარდება სახურავს - 17,9 ათ. ლარი</li> <li>• სოფელ კოროთოს საბავშვო ბარის სველი წერტილების მოწყობაზე-11,1 ათასი ლარი</li> <li>• სოფ. ბირკიანის საბავშვო ბაღში შიდა დარბაზის რეაბილიტაცია - 21,9 ათ. ლარი</li> <li>• სოფ. არგოხის საბავშვო ბაღის ღობის რეაბილიტაცია - 33,0 ათ. ლარი</li> </ul>					



	<ul style="list-style-type: none"> <li>• სოფ. ომალოს საბავშვო ბაღის შენობის ფასადის რეაბილიტაცია - 20,5 ათ. ლარი</li> <li>• ტექნიკური ზედამხედველობა 2023 წლის სამუშაოებზე - 45,0 ათ. ლარი</li> <li>• თანადაფინანსება - 326,3 ათ. ლარი</li> <li>• საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა - 1,8 ათ. ლარი</li> <li>• აწყურის და კოლოთოს ბაღების ავეჯი-23,3 ათსი ლარი</li> </ul> <p>ადგილობრივი ბიუჯეტიდან სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაციის მიზნით ნაშთის სახით მიიმართა 129,1 ათ. ლარი:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- რეგ. ფონდების თანადაფინანსება 88,6 ათ. ლარი(აწყურის 38,4 ათასი ლარი და კოლოთოს (48,1 ათასი ლარი) ბაღების)</li> <li>- ტექნიკური ზედამხედველობის ნაშთი 41,8 ათ. ლარი</li> </ul> <p>საქართველოს მთავრობის 2021 წლის №1419 განკარგულებით გამოყოფილი თანხის ნაშთი - ახმეტის მუნიციპალიტეტში სოციალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით სოფელ აწყურის საბავშვო ბაღის მშენებლობა - 131,4 ათ. ლარი</p> <p>საქართველოს მთავრობის 2022 წლის №75 განკარგულებით გამოყოფილი თანხის ნაშთი - სოფ. კოლოთოს საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია - 94,4 ათ. ლარი.</p> <p>საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 დეკემბრის #2475 განკარგულებით სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაციის მიმართულებით გამოყოფილი თანხა შეადგენს 1162,4 ათ. ლარს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- სოფ. ოჟიოს საბავშვო ბაღის ნაწილობრივი რეაბილიტაცია - 605,4 ათ. ლარი</li> </ul> <p>სოფ მატნის #1 საბავშვო ბაღის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია - 557,0 ათ. ლარი</p>
ქვეპროგრამის მიზანი	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში შექმნილია ბავშვების განვითარებაზე ორიენტირებული, სტანდარტების შესაბამისი სააღმზრდელო გარემო

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ზოგადი განათლების ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარებში
	04 02		2023 წ.
	695,0		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახმეტის მუნიციპალიტეტის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	1. ადგილობრივი ხელისუფლების ინიციატივითა და მხარდაჭერით ყოველ წელს დაჯილდოვდებიან		

	<p>მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების წარჩინებული კურსდამთავრებულები. აღნიშნული ღონისძიება იქნება დიდი სტიმული ახალგაზრდებისათვის იყვნენ უფრო მეტად წარმატებულნი, მიიღონ სათანადო განათლება, რადგან განათლებული ადამიანი არის სამირკველი ჩვენი ქვეყნის აღმშენებლობის და უკეთესი მომავლის. ამ კამპანიის ფარგლებში ახმეტის მუნიციპალიტეტში 2022-2023 სასწავლო წელს კურსდამთავრებებს გადაეცემათ ფულადი ჯილდო. მათ შორის ოქროსმედალოსნებს 500 ლარი ვერცხლისმედალოსნებს 400 ლარი. საორიენტაციოდ დაჯილდოვებას მოხმარდება 28,0 ათ. ლარი, ხოლო ღონისძიების ორგანიზებას 7,0 ათ. ლარი.</p> <p>2. მუნიციპალიტეტის წარმატებული პედაგოგები დაჯილდოვდებიან ერთჯერადად 1000 ლარის ოდენობით. (საორიენტაციოდ ღონისძიების ხარჯი შეადგენს 10,0 ათ. ლარს)</p> <p>3. სკოლების რეაბილიტაციის მიზნით, განკარგულებით გამოყოფილი თანხებიდან მორჩენილია 29,8 ათ. ლარი:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• საქართველოს მთავრობის 2019 წლის №13 განკარგულებით გამოყოფილი თანხის ნაშთი 3,8 ათ. ლარი</li> <li>• საქართველოს მთავრობის 2022 წლის №51 განკარგულებით გამოყოფილი თანხის ნაშთი 26,0 ათ. ლარი</li> </ul> <p>4. საქართველოს მთავრობის 2023 წლის 23 იანვრის №147 განკარგულებით გამოიყო საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით მომსახურების ხარჯი 448,6 ათასი ლარი და მადრანის სკოლის რეაბილიტაციის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენისათვის 3,6 ათასი ლარი და მატნის სკოლის გათბობის სისტემის მოწყობის კაპიტალური ხარჯი 167,5 ათასი ლარი.</p>
ქვეპროგრამის მიზანი	დაინტერესებულნი არიან მოსწავლეები მიაღწიონ მაღალ შედეგებს

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ამ ტრადიციების ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება.

სპორტის, ახალგაზრდობის და კულტურის მიმართულების მხარდაჭერა უზრუნველყოფს რეგიონის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას, ერთმანეთთან აკავშირებს სხვადასხვა დარგებს და მნიშვნელოვან როლს თამაშობს მათ განვითარებაში, ხელს უწყობს ტურიზმის, მეწარმეობის განვითარებას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას.

მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ღონისძიებების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება, ასევე ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ჩატარებას.

ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტში პროგრამები ხორციელდება როგორც მერიის კულტურის სამსახურის, ასევე კულტურის და სპორტის სფეროში შექმნილი ა(ა)იპ-ების მიერ.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული ღონისძიებები	2023 წლის დაფინანსება ათას ლარებში	2024-2026 წლების დაფინანსება ათას ლარებში
	05 01 02		35,0	100.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახმეტის მუნიციპალიტეტის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური			

ქვეპროგრამის აღწერა	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება:</p> <p>სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებების და აქტივობების ორგანიზება, მასში მონაწილე სპორტსმენებისა და ახალგაზრდების დაჯილდოება, წახალისება ფულადი და ფასიანი საჩუქრებით;</p> <p>ღვაწლმოსილი და ვეტერანი სპორტის დამსახურებული ახმეტელების დასაჩუქრება;</p> <p>სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებზე სპორტსმენებისა და მწვრთნელების ტრანსპორტირებაში დახმარება;</p> <p>პროექტები: სასკოლო სპორტული ოლიმპიადა და სპორტი ბარიერების გარეშე, ევროპის სპორტის კვირეული, ახალგაზრდული სპორტული ფესტივლები, რომლებშიც მონაწილეობას დებულობენ ახმეტის მუნიციპალიტეტის საჯარო და საბაზო სკოლები. ქართული ჭიდაობის პოპულარიზაციისა და განვითარების ხელშეწყობა.</p>
პროგრამის მიზანი	<p>ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, მოზარდების ჩართვა მასობრივი სპორტის სახეობებში, წარმატებული ახალგაზრდა და ვეტერანი სპორტსმენების დაჯილდოება, ახალგაზრდობის გააქტიურება და სამოქალაქო აქტივობებში ჩართვა, ახალგაზრდული ინიციატივების წახალისება და სოციალურად შეჭირვებული ახალგაზრდებისა და შედეგიანი სპორტსმენების შეკრებებისა და ტურნირებზე გასაგზავნი თანხების თანადაფინანსება</p>

	კოდი	ა(ა)იპ სკოლისგარეშე სასპორტო- საგანმანათლებლო დაწესებულება- ახმეტის ზურაბ ზვიადაურის სახელობის კომპლექსური სასპორტო გაერთიანება	დაფინანსება ათას ლარებში			
			2023 წ.	2024 წ.	2025 წ.	2026 წ.
ქვეპროგრამის დასახელება	05-01-01-01		856,4	620.0	680.0	750.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ სკოლისგარეშე სასპორტო-საგანმანათლებლო დაწესებულება-ახმეტის ზურაბ ზვიადაურის სახელობის კომპლექსური სასპორტო გაერთიანება					

<p>ქვეპროგრამის აღწერა</p>	<p>კომპლექსური სკოლა უზრუნველყოფს სწავლებას სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში (8 -დან 30 წლამდე). სპორტსმენები იღებენ მონაწილეობას რეგიონალურ, საქართველოს, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებზე. ტარდება სპორტული შეკრებები. კომპლექსურ სასპორტო სკოლაში ფუნქციონირებს 9 სპორტული სახეობა და ვარჯიშობს 528 სპორტსმენი. აქედან 430 არის ბიჭი, 98 არის გოგო.</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• კალათბურთი: 67 გოგო, 54 ბიჭი</li> <li>• ძიუდო: 3 გოგო , 120 ბიჭი</li> <li>• მკლავჭიდი 2 გოგო, 56 ბიჭი</li> <li>• კინგბოქსი - 4 გოგო, 60 ბიჭი</li> <li>• თავისუფალი ჭიდაობა - 10 ბიჭი</li> <li>• საცხენოსნო სპორტი - 10 გოგო, 21 ბიჭი</li> <li>• რაგბი 9 გოგო, 70 ბიჭი</li> <li>• კრივი - 3 გოგო, 15 ბიჭი</li> <li>• ათლეტიზმი - 24 ბიჭი.</li> </ul> <p>ორგანიზაციაში მოქმედი სპორტულ სექციებში ძირითადად დასაქმებული არიან მამაკაცები. მწვრთნელთა შორის მხოლოდ ერთია ქალი (კალათბურთის მწვრთნელი) დანარჩენი ქალები (17) დასაქმებული არიან ადმინისტრაციაში .რეორგანიზაციის შედეგად სკოლას შეუერთდა 05 01 01 02 კოდზე არსებული სპორტული სკოლის წრეები და გაუხარჯავი თანხა 223,2 ათასი ლარის ოდენობით,ასევე კრივის წრე რომელიც გადმოეცა აიპ მამიაურის სახელობის სკოლიდან შესაბამისი ხარჯით (18,9 ათასი ლარი)</p>				
<p>ქვეპროგრამის მიზანი</p>	<p>სპორტული სახეობების განვითარება , ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება.</p>				
<p>შედეგის შეფასების ინდიკატორი</p>	<p>#</p>	<p>საბაზისო მაჩვენებელი</p>	<p>მიზნობრივი მაჩვენებელი</p>	<p>ცდომილები ს ალბათობა (%/აღწერა)</p>	<p>შესაძლო რისკი</p>
<p>სპორტსმენების რაოდენობა</p>	<p>528</p>	<p>528</p>	<p>10%</p>		
<p>სპორტსმენ გოგონათა რაოდენობა</p>	<p>98</p>	<p>98</p>	<p>10%</p>		

	სპორტსმენ ბიჭთა რაოდენობა	430	430	10%	
--	---------------------------	-----	-----	-----	--

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ ახმეტის ზურაბ ზვიადაურის სახელობის ძიუდოს სასპორტო სკოლა	დაფინანსება ათას ლარებში			
	05 01 01 02		2023 წ.	2024 წ.	2025 წ.	2026 წ.
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ა(ა)იპ ახმეტის ზურაბ ზვიადაურის სახელობის ძიუდოს სასპორტო სკოლა(2023 წლის 1 მაისიდან შეერწყა კომპლექსურ სკოლას და ხარჯის დარჩენილი ნაწილიც გადავიდა 05 01 01 01 კოდზე)	101.6	340.0	373.0	406.0
ქვეპროგრამის ღწერა		ძიუდოს სკოლა უზრუნველყოფს სწავლას როგორც ძიუდოს, ასევე ქართულ ჭიდაობასა და სამბოში. ძიუდოს სკოლაში ვარჯიშები ტარდება სამივე მიმართულებით. 13 მწვრთნელი ემსახურება სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებს (6-დან 18-წლამდე) 190 სპორტსმენს. აქედან 5 არის გოგონა. სკოლის სპორტსმენები მონაწილეობას იღებენ ადგილობრივ და საერთაშორისო ტურნირებზე. ორგანიზაციაში დასაქმებული ყველა ქალი არის ადმინისტრაციის თანამშრომელი (24%). ( ყველაზემთ ჩამოთვლილი წრე 2023 წლის 1 მაისიდან გადაეცა 05 01 01 01 კოდზე არსებულ სკოლას შესაბამისი ხარჯით,რომელმაც შეადგინა 223,2 ათასი ლარი)				
ქვეპროგრამის მიზანი		ძიუდოს განვითარება და პოპულარიზაცია				
შედეგის შეფასების ინდიკატორი		საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილები ს ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკი	
		სპორტსმენების რაოდენობა	190	190	10%	
		სპორტსმენ გოგონათა რაოდენობა	5	5	15%	
		სპორტსმენ ბიჭთა რაოდენობა	185	185	15%	

	კოდი		დაფინანსება ათას ლარებში
--	------	--	--------------------------

ქვეპროგრამის დასახელება	05-01-01-03	ფეხბურთის განვითარება	2023 წ.	2024 წ.	2025 წ.	2026 წ.
			233,4	250,0	270,0	300,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ სკოლის გარეშე სპორტული დაწესებულება ახმეტის საფეხბურთო სკოლა „ბახტრიონი“					
ქვეპროგრამის აღწერა	<p>საფეხბურთო სკოლა უზრუნველყოფს სწავლას ფეხბურთის მიმართულებით 13 მწვრთნელის მეშვეობით, რომლებიც ემსახურებიან სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებს (5-დან-18-წლამდე) 210 სპორტსმენს, აქედან 24 არის გოგო, 186 არის ბიჭი. სკოლის სპორტსმენები მონაწილეობენ თბილისის მერიის თასის გათამაშების ტურნირზე და კახეთის ჩემპიონატზე. სკოლა გეგმავს ბიუჯეტიდან გამომდინარე შეძლებისდაგვარად მოეწყოს საზაფხულო შეკრებები აგრეთვე გეგმავს და ახორციელებს ღონისძიებებს ჯანსაღი ცხოვრების წესის მიმართულებით, ხელს უწყობს მის დანერგვას და პოპულარიზაციას. სკოლის ბაზაზე არის სასტუმროს შენობა. ჩვენი ინტერესია მოვიზიდოთ სპორტსმენები რომლებიც გაივლიან სპორტულ შეკრებას სკოლის სასტუმროში სადაც სპორტსმენებისთვის არის დამაკმაყოფილებელი პირობები. ამით სკოლას ექნება საკუთარი შემოსავალი ამ შემოსავლით უკეთეს პირობებს შევუქმნით სპორტსმენებს.</p> <p>ორგანიზაციაში მოქმედი სპორტულ სექციებში ძირითადად დასაქმებული არიან მამაკაცები (85%), ქალები დასაქმებული არიან ადმინისტრაციაში (15%)</p>					
ქვეპროგრამის მიზანი	ფეხბურთით დაინტერესებული ახალგაზრდების ხელშეწყობა; სპორტული ტრადიციების დაცვა-შენარჩუნება					
შედეგის შეფასების ინდიკატორი	#	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკი	
	სპორტსმენების რაოდენობა	210	210	15%		
	სპორტსმენ გოგონათა რაოდენობა	24	24	15%		
	სპორტსმენ ბიჭთა რაოდენობა	186	186	15%		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კაპიტალური დაბანდებები სპორტის სფეროში	დაფინანსება ათას ლარებში
	05-01-03		2023 წ.
			628,0

ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის და არქიტექტურის სამსახური
ქვეპროგრამის აღწერა	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• სოფ. ზემო ალვანში მინი სპორტული მოედნის რეაბილიტაცია (მოწყობა მწვანე ხელოვნური საფარი) – 112,0 ათ. ლარი</li> <li>• სოფ. მატანში ახალი ხელოვნურსაფარიანი მინი სპორტული მოედნის მოწყობა – 176,9 ათ. ლარი</li> <li>• სოფ. ქისტაურში სატრენაჟორო სპორტული დარბაზის სრული რეაბილიტაცია – 250,0 ათ. ლარი</li> <li>• საპროექტო – 5,0 ათ. ლარი</li> <li>• საზედამხედველო – 10,0 ათ. ლარი</li> <li>• გაზიფიკაციის ხარჯი - 3,1 ათ. ლარი</li> </ul> <p>ადგილობრივი ბიუჯეტიდან ნაშთის სახით ასახულია 52,4 ათ. ლარი</p> <p>- სოფელ კუწახტაში მინი სტადიონის მოწყობა -48,8 ათ. ლარი</p> <p>- ტექნიკური ზედამხედველობის ნაშთი - 22,2 ათ. ლარი</p>
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	განახლებული სპორტდარბაზები და სპორტული მოედნები

პროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის სფეროს განვითარება	2023 წლის დაფინანსება ათას ლარებში
	05 02		1339,2
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ახმეტის მუნიციპალიტეტის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური	
პროგრამის აღწერა		<p>ტრადიციული და სახალხო დღესასწაულების ჩატარება, მთავრობის მიერ ოფიციალურად დადგენილი დღეების აღნიშვნა .კონცერტების გამოფენების, გასტროლების, სახელოვნებო პროექტების, თეატრალური წარმოდგენების, საერთაშორისო, რეგიონალური და ადგილობრივი ფესტივალების, იუბილარ, ღვაწლმოსილ კულტურის მუშაკებთან შეხვედრა, მადლობის სიგელების, საპატიო ტიტულების, ერთჯერადი ფულადი ჯილდოების გაცემა და სხვა ღონისძიებების ორგანიზებას/ორგანიზების ხელშეწყობას.</p> <p>პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება შემდეგი ქვეპროგრამები:</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. ა(ა)იპ კულტურის ცენტრი</li> <li>2. ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის ბესიკ მამიაურის სახელობის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახელოვნებო, შემეცნებითი და სამუსიკო სკოლების გაერთიანება</li> </ol>	
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი		შექმილია პირობები კულტურისა და ხელოვნების პოპულარიზაციისთვის, ხელშეწყობილია კულტურისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგები და უზრუნველყოფილია კულტურულ-შემოქმედებით ცხოვრებაში მოსახლეობის ჩართულობა. გაზრდილია მუნიციპალიტეტის კულტურული აქტივობა, ხელშეწყობილია კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობა, შენარჩუნებული და დაცულია კულტურული მემკვიდრეობა.	



ლონისძიების დასახელება	კოდი	კულტურის ცენტრი	დაფინანსება ათას ლარებში			
	05 02 01 01		2023 წ.	2024 წ.	2025 წ.	2026 წ.
			825,1	800,0	880,0	970,0
ლონისძიების განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)ი.პ. ახმეტის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი					
ლონისძიების აღწერა	<p>წლის განმავლობაში დაგეგმილია 19 მხატვრულ ღონისძიებაში მონაწილეობის მიღება. ესენია: საახალწლო ღონისძიება, ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებენ ადგილობრივი ფოკლორული და ქორეოგრაფიული ანსამბლები; საახალწლო ღონისძიება ალავერდის ეპარქიაში; სახალხო დღესასწაული „ყეინობა“ 8 მარტის ღონისძიება, მონაწილეობას მიიღებენ ადგილობრივი ფოკლორული და ქორეოგრაფიული ანსამბლები, კულტურის ცენტრის მიერ გაიცემა მცირე ფასიანი საჩუქრები 9 აპრილიდან დაკავშირებით დედაენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება. 15 აპრილი სიყვარულის დღესთან დაკავშირებით ქ.ახმეტის კულტურის სახლში ადგილობრივი ფოკლორული და ქორეოგრაფიული ანსამბლების მონაწილეობით გაიმართება ღონისძიება; ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება ადგილობრივი ქორეოგრაფიული ანსამბლების მონაწილეობით გაიმართება პანკისის ხეობაში ე/წ დაბალ გორაზე, ასევე მოეწყობა გამოფენები, სპორტული აქტივობები (დოლი, ჭიდაობა), ღონისძიება „ღამე მუზეუმში“.</p> <p>26 მაისი საქრთველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართება ქ.ახმეტის ცენტრში, ჩატარდება საზეიმო კონცერტი ადგილობრივი ფოკლორული და ქორეოგრაფიული ანსამბლების, ასევე მოწვეული მომღერლების მონაწილეობით, მოეწყობა გამოფენები, სპორტული აქტივობები</p> <p>სახალხო დღესასწაული „ზეზვაობა“ გაიმართება სოფელ ქვემო ალვანის ცენტრში, მოეწყობა კონცერტი როგორც ადგილობრივ ისე ჩამოსული სტუმრების მონაწილეობით, მოეწყობა როგორც ტრადიციული რიტუალი დალაობა, მოეწყობა დოლი,გამოფენები</p> <p>ბავშვთა საერთაშორისო დღესათან დაკავშირებით ქ.ახმეტის კულტურის სახლში ადგილობრივი ფოკლორული და ქორეოგრაფიული ანსამბლების მონაწილეობით გაიმართება ღონისძიება „ქაქუცაობა“ გაიმართება სოფელ მატანში</p> <p>სახალხო დღესასწაული; „თუშეთობა“ მეცხვარეობის ტრადიციისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართება თუშეთში სოფელ ომალოში, როგორც ადგილობრივი ისე მოწვეული ანსამბლების მონაწილეობით, გაიმართება სპორტული</p>					

აქტივობები (დოდი, მშვილდოსნობა) მოეწყობა ფაცხები სადაც იქნება ადგილობრივი კერძების დეგუსტაცია;

სახალხო დღესასწაული „კვეტერაობა“ გაიმართება ციხე ქალაქ კვეტერას ტერიტორიაზე როგორც ადგილობრივი ისე ჩამოსული სტუმრების მონაწილეობით;

სახალხო დღესასწაული „პანკისობა“ გაიმართება სოფელ დუისში ე/წ დაბალ გორაზე როგორც ადგილობრივი ასევე მოწვეული ანსამბლების მონაწილეობით, გაიმართება სპორტული აქტივობები (დოდი, მშვილდოსნობა) მოეწყობა ფაცხები სადაც იქნება ადგილობრივი კერძების დეგუსტაცია;

სახალხო დღესასწაული „ბიძინაობა“ მთავარ მოწამე ბიძანა ჩოლოყაშილისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართება ქ.ახმეტის ცენტრში, როგორც ადგილობრივი ისე მოწვეული ანსამბლების მონაწილეობით, გაიმართება სპორტული აქტივობები (დოდი, მშვილდოსნობა, ჭიდაობა) მოეწყობა ფაცხები სადაც იქნება ადგილობრივი კერძების დეგუსტაცია;

სახალხო დღესასწაული „ხადორობა“ გაიმართება პანკისის ხეობაში სოფელ ხადორში, როგორც ადგილობრივი, ისე ჩამოსული სტუმრების მონაწილეობით;

კულტურის ცენტრის საანგარიშო კონცერტი გაიმართება ქ.ახმეტის კულტურის სახლში, მასში მონაწილეობას მიიღებენ კულტურის ცენტრის ბალანსზე არსებული ყველა ანსამბლი და ინდივიდუალური შემსრულებელი;

ასევე შესაძლებელია გაიმართოს სხვა დაუგეგმავი ღონისძიებები.

მთელი წლის განმავლობაში კულტურის ცენტრის ბაზაზე ფუნქციონირებს 14 სიმღერისა და და ცეკვის წრე (როგორც ქ.ახმეტაში ისე სხვადასხვა სოფლებში), სადაც დაკავებულია 213 ბავშვი. მათ შორის 146 გოგონაა. კულტურის ცენტრის ბაზაზე ფუნქციონირებს 5 სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, ჩვენი მუშაობით ვფიქრობთ კულტურულ ღონისძიებებში, რაც შეიძლება ბევრი ადგილობრივი მოსახლეობის ჩართვას, კულტურული მიმართულებების (საწრეო მუშაობის) ხელშეწყობას რათა რაც შეიძლება მეტი ბავშვი დაკავდეს სხვადასხვა სახის წრეებით.

ახმეტის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის დაქვემდებარებაშია ოთხი მუზეუმი: ახმეტის ისტორიის მუზეუმი, რაფიელ ერისთავის სახლ მუზეუმი, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი და პანკისის ეთნოგრაფიული მუზეუმი, იგეგმება ახალი ექსპონატების შემატება ინვენტარიზაცია, პასპორტიზაცია, მუზეუმების ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, შესაბამისი ღონისძიებების გამართვა რათა გაიზარდოს მუზეუმების ცნობადობა, გაიზარდოს ვიზიტორების რაოდენობა.

საბიბლიოთეკო გაერთიანების ბაზაზე ფუნქციონირებს ქ.ახმეტის ცენტრალური ბიბლიოთეკა და 10 სასოფლო ბიბლიოთეკა, მკითხველის მოზიდვის მიზნით იგეგმება ახალი წიგნების და ჟურნალ გაზეთების შეძენა, კატალოგიზაცია, ბიბლიოთეკებში განაწილება, სხვადასხვა სახის ღონისძიებების მოწყობა (ლიტერატურული საღამოები, გასვლა საჯარო ადგილებში ახალი წიგნების გამოფენა, ცნობილი შემოქმედი ადამიანების მოწვევა ბიბლიოთეკაში მათი საღამოების ორგანიზება...), მკითხველის

	<p>მოზიდვის მიზნით, არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობა, შენარჩუნება.</p> <p>ახმეტის მუნიციპალიტეტი საქართველოში ერთ-ერთი გამორჩეული მუნიციპალიტეტია ისტორიული ძეგლების რაოდენობის მხრივ, ძეგლთა დაცვა მუდმივად ახდენს მათ მოვლა-პატრონობას, ფოტოდოკუმენტირებას, პასპორტიზაციას, ძეგლების პოპულარიზაციის მიზნით გამოიცა წიგნი „ახმეტის მუნიციპალიტეტის ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობა“. სამსახური ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შესახებ, ძეგლთა დაცვის სააგენტოს მუდმივად აწვდის ინფორმაციის ახალი ობიექტების შესახებ რათა მოხდეს მათთვის სტატუსის მინიჭება რაც უზრუნველყოფს მათ დაცვა - შენარჩუნებას.</p> <p>ორგანიზაციაში დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენს 146 ადამიანს. აქედან ქალი არის 89, კაცი 57.</p>				
მიზანი	<p>საზოგადოების ჩართულობა კულტურულ ცხოვრებაში, მეტი ბავშვის დაკავება სხვადასხვა სახის წრეებით. მუზეუმების შენობების მოვლა პატრონობა მათ შემდგომი განვითარება, ვიზიტორების მოზიდვა. ბიბლიოთეკების შენობების მოვლა პატრონობა, წიგნადი ფონდის განახლება, მკითხველის დაინტერესება და მოზიდვა. მუნიციპალიტეტის მასშტაბით არსებული ისტორიულ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მოვლა პატრონობა, პოპულარიზაცია, შეუსწავლელი ძეგლების გამოვლენა ფოტოდოკუმენტირება.</p>				
შედეგის შეფასების ინდიკატორი	#	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკი
	1	პროგრამის ფარგლებში სხვადასხვა სახის წრეებში ჩართულ ბავშვთა რაოდენობა-213	პროგრამის ფარგლებში სხვადასხვა სახის წრეებში ჩართულ ბავშვთა რაოდენობა-220	10%	
	2	მუნიციპალიტეტის მასშტაბით ჩასატარებელი მხატვრული ღონისძიებები 19	მუნიციპალიტეტის მასშტაბით ჩასატარებელი მხატვრული ღონისძიებები 21	10%	
	3	მუნიციპალიტეტის მასშტაბით ჩატარებული მხატვრული ღონისძიებებზე, მუნიციპალიტეტის მცხოვრებთა საერთო რაოდენობიდან, დამსწრე პირთა პროცენტული რაოდენობა- 57%	60%	10%	

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის ბესიკ მამიაურის სახელობის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახელოვნებო, შემეცნებითი და სამუსიკო სკოლების გაერთიანება	დაფინანსება ათას ლარებში			
	05 02 01 04		2023 წ.	2024 წ.	2025 წ.	2026 წ.
ქვეპროგრამის დასახელება	05 02 01 04	ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის ბესიკ მამიაურის სახელობის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახელოვნებო, შემეცნებითი და სამუსიკო სკოლების გაერთიანება	495,8	550,0	605,0	660,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის ბესიკ მამიაურის სახელობის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახელოვნებო, შემეცნებითი და სამუსიკო სკოლების გაერთიანება					
ქვეპროგრამის ღწერა	<p>სკოლა ემსახურება მოზარდებში გარესამყაროს მხატვრული აღქმის უნარის ჩამოყალიბებას; გამომსახველობით საშუალებათა ტექნიკის განვითარებას, მოსწავლეთა ხელოვნების საფუძვლების ზიარებას. სკოლა ასევე უზრუნველყოფს მომავალი თაობების ცოდნის გაღრმავებას. ამისათვის სკოლაში არსებობს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- სამხატვრო წრე - 74 მოსწავლე - მათ შორის 11 ბიჭი</li> <li>- თიხის დამუშავება - 13 მოსწავლე - 7 გოგო, 6 ბიჭი</li> <li>- ქარგვა - 15 მოსწავლე - 15 გოგო</li> <li>- გობელინი - ხალიჩა - 10 მოსწავლე - 10 გოგო</li> <li>- თექა - 27 მოსწავლე (აქედან 13 მოსწავლე სწავლობს ჯოჯოლოში, სკოლის ბაზაზე) 27 გოგო</li> <li>- გამოყენებითი ხელოვნება - 15 მოსწავლე - 15 გოგო</li> <li>- მუსიკალური წრე - 15 მოსწავლე 15 გოგო</li> <li>- კრივი - 17 სპორტსმენი - 17 ბიჭი( კრივის წრე 2023 წლის 1 მაისიდან გადაეცა 05 01 01 01 სპორტულ სკოლას შესაბამისი ხარჯით (18,9 ათასი ლარი))</li> </ul> <p>ხელოვნების დარგების შესწავლა შეუძლიათ როგორც სკოლის მოსწავლეებს, ასევე სკოლადამთავარებულებს და ზრდასრულებს, დიასახლისებს, პენსიონერებს, რომელიც ხელს შეუწყობს გენდერული თანასწორობის მიღწევას, ქალთა ჩართულობის გააქტიურებას ეკონომიკურ პროცესებში, ადგილობრივ დონეზე, რადგან აქ ნასწავლი ხელოვნება შეიძლება მომავალში გახდეს მათი შემოსავლის წყარო.</p> <p>მუსიკალური წრეზე ხდება სხვადასხვა ასაკის ბავშვებისათვის და ახალგაზრდებისათვის სრულიად უფასოდ საესტრადო</p>					

	<p>სიმღერების სწავლება, მათი ჩართულობით მუნიციპალურ და სასკოლო ღონისძიებებში მონაწილეობის მღება. მუსიკას ეუფლებიან როგორც სკოლის მოსწავლეები, ასევე საბავშვო ბაღის აღსაზრდელებიც, რომლებიც დიდი ენთუზიაზმით და მონდომებით იძენენ ცოდნას და ხალისით იღებენ მონაწილეობას კონცერტებსა და ღონისძიებებში.</p> <p>სამუსიკო სკოლების გაერთიანება ემსახურება ახალგაზრდების მუსიკალური ხელოვნების საფუძვლების გაცნობას მათი ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბებას, მუსიკალური ხელოვნების სფეროში ინდივიდუალური შემოქმედებითი განვითარების ხელშეწყობას, კულტურული მემკვიდრეობის შეწავლას და შენარჩუნების მიზნით საჭირო ღონისძიებების განხორციელებას. ასევე ხელს უწყობს ქართული ფოლკლორისა და ქართული სიმღერების შესწავლას. გაერთიანებაში შედის 5 სამუსიკო სკოლა: ახმეტის, სოფ. მატნის, ზ.ალვნის, ქვ. ალვნის და დუისის სამუსიკო სკოლები. სწავლობს 234 მოსწავლე. 39 ბიჭი, 195 გოგო. სწავლის გადასახადი ერთ მოსწავლეზე შეადგენს 10 ლარს.</p> <p>გაერთიანებასთან ფუნქციონირებს ქალთა ფოლკლორული ანსამბლი „ჯვარი ვაზისა“</p> <p>ორგანიზაციაში დასაქმებული 93 თანამშრომლიდან ქალი არის 82, მამაკაცი 11.</p>				
ქვეპროგრამის მიზანი	ნიჭიერ ხელოვანთა და სპორტსმენტა შემოქმედებითი ზრდა				
მოსალოდნელი შედეგი	ახალგაზრდების დაინტერესება და ცოდნის გაღრმავება სამხატვრო დარგებით; ფიზიკურად ჯანსაღი თაობის აღზრდა				
შედეგის შეფასების ინდიკატორი	#	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკი
	მოსწავლეთა რაოდენობა	420	420	1-2 %	
	გოგონები	347	347	5%	
	ბიჭები	73	73	5%	

პროგრამის დასახელება	კოდი	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	დაფინანსება ათას ლარებში			
	05 03		2023 წ.	2024 წ.	2025 წ.	2026 წ.
			89,0	79,0	79,0	79,0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური					
პროგრამის აღწერა	<p>პროგრამის ფარგლებში ხორციელდება შემდეგი პროექტები:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- ნიჭიერი ახალგაზრდა მხატვრების გამოფენა-პლენერი - 1000 ლარი (აქსესუარების, პრიზების, საჩუქრების შესაძენად)</li> <li>- ლიტერატურული კონკურსი (ესე) – 1000 ლარი</li> <li>- მხიარულთა და საზრიანთა კლუბი (მსკ) – 5000 ლარი;</li> <li>- ახალგაზრდული აქტივობები: <ul style="list-style-type: none"> <li>- დედაენის დღე - 14 აპრილი; დასუფთავების აქცია - 1000 ლარი</li> <li>- შშმ პირთა ინტეგრაციის ღონისძიება - 2000 ლარი</li> </ul> </li> <li>- ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებული ღონისძიება (ასფალტზე ხატვის ორგანიზება, კონცერტი, გამოფენის მოწყობა, ფერების ფესტივალი, ანიმატორების მოწვევა) – 1000 ლარი;</li> <li>- საზაფხულო ბანაკები, მათ შორის: ახალგაზრდული აქტივობები - დისკოთეკები, კონცერტები, გასვლითი შეხვედრები სოფლებში. ახალგაზრდული აქტივისთვის ლაშქრობების და ექსკურსიების ციკლი „ შეიცანი შენი მხარე“ ( კვეტერა, თორღვა-პანკელის ციხე, ალენის ცხრაკარა, ბახტრიონის ციხე, ალავერდი, გრემი-ნეკრესი, იყალთოს აკადემია, მცხეთა, დავით-გარეჯი, წინანდალი, ერეკლეს სახლმუზეუმი...) – 10000 ლარი;</li> <li>- ქაქუცა ჩოლოყაშვილის-საიუბილეო თარიღის აღნიშვნა - 1000 ლარი;</li> <li>- თუშეთში მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული აქტივის წაყვანა „მეცხვარის დღის“ აღსანიშნავად; შაბათობა ჯოყოლოს ქართულ ეკლესიაში; ილტოს ხეობის სოფლების და მოწვეული სტუმრების მონაწილეობით კაფიაობა-ლექსობის ჩატარება - 2000 ლარი;</li> <li>- ახალი სასწავლო წლის დაწყების მილოცვა - კონცერტი - 1000 ლარი</li> </ul>					

	<ul style="list-style-type: none"> <li>- ახალგაზრდული საზაფხულო ფესტივალი კახეთის რეგიონის მუნიციპალიტეტების მონაწილეობით - დამეგობრების ფესტივალი - 5000 ლარი</li> <li>- პროექტის „ცოცხალი წიგნის“ ფარგლებში შეხვედრა თანამედროვე პოეტებთან და მწერლებთან - 1000 ლარი;</li> <li>- ტურები „რა,სად, როდის?“ (მაისი- ნოემბერი) – 2000 ლარი</li> <li>- საგანმანათლებლო მედია-პროექტი „ეტალონი“ – 3000 ლარი</li> <li>- ახალგაზრდა შემოქმედთა პოეზიის სადამო, შეხვედრები ახალგაზრდულ კლუბში, მათ შორის გასვლითი - სოფლის აქტივთან და დასუფთავების აქციები (წლის განმავლობაში) საახალწლო ღონისძიებების კვირეულში ჩართვა - 3000 ლარი</li> <li>- ტრანსპორტირების ხარჯები - წლის განმავლობაში - 10000 ლარი</li> <li>- ახალგაზრდობის განვითარების სტრატეგიის მიზნებისა და ამოცანების განხორციელება -30000 ლარი</li> <li>- გენდერული საბჭოს ფუნქცია მოვალეობების შესასრულებლად საჭირო ხარჯებისათვის 10000 ლარი</li> </ul>				
პროგრამის მიზანი	<p>ახმეტის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდების გააქტიურება, სამოქალაქო აქტივობებში ჩართვა, ახალგაზრდული ინიციატივების წახალისება, პიროვნული პოტენციალის რეალიზება და მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის ეთნიკურ უმცირესობებთან ინტეგრირების ხელისშეწყობა, ახალგაზრდული ორგანიზაციების მიერ ინიცირებული სასარგებლო პროექტების ფინანსური მხარდაჭერა, კონკურსის წესით საუკეთესო ინიციატივების შერჩევა და პრიორიტეტის მინიჭება, მათგან ყველაზე კრეატიულისა და ინოვაციურისათვის.</p>				
შედეგის შეფასების ინდიკატორი	#	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკი
	1	ღონისძიებების რაოდენობა		2023 წელს დაგეგმილია არანაკლებ 40 სხვადასხვა ფორმატის ღონისძიება	საბიუჯეტო სახსრების სიმწირე. კორონავირუსის შედეგად გამოწვეული პანდემია
	2	დაჯილდოებული და წახალისებული ახალგაზრდები	50	2023 წელს წინასწარი ვარაუდით შენარჩუნდება ყველა პროექტი და კულტურული ღონისძიება წინა წლების	20% - დამოკიდებულია პროექტების განხორციელების დროს მიღწეულ შედეგებზე

				მაჩვენებლის დონეზე	
--	--	--	--	-----------------------	--

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საინფორმაციო ცენტრი	დაფინანსება ათას ლარებში			
	05 04		2023 წ.	2024 წ.	2025 წ.	2026 წ.
			82,6	85,0	90,0	95,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ "ახმეტის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ცენტრი"					
ქვეპროგრამის აღწერა	<p>გაზეთი „ბახტრიონი“ გამოდის თვეში ორჯერ, ერთი ნომერი 500 ეგზემპლარია, ბეჭდვის ღირებულება 180 ლარი. წელიწადში ორჯერ გამოიცემა სპეც. ნომერი. გაზეთი ვრცელდება მთელი მუნიციპალიტეტის მასშტაბით. მოსახლეობას საშუალება ეძლევა უფასოდ მიიღონ გაზეთი და გაეცნონ მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროცესებს. ისინი აქტიურად არიან ჩართულები, როგორც მკითხველის რანგში, ასევე გაზეთში რაიმე სახის ინფორმაციის მოწოდებაში. გაზეთი ხელს უწყობს შემოქმედი ახალგაზრდების ნიჭის გამოვლენას. მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლები თავის ადმინისტრაციულ ერთეულში აქტიურად ავრცელებენ გაზეთს, გარდა ამისა, ისინი ასევე თანამშრომლობენ და აწვდიან ნებისმიერი სახის ინფორმაციას. რედაქციას გააჩნია საარქივო მასალები, რომელიც მოიცავს 70-იანი წლების ისტორიას მუნიციპალიტეტში არსებულ ბეჭდვითი მედიის შესახებ, ასევე ფოტომასალის სახით. დაინტერესებული პირები აკითხავენ ამ მიზნით გაზეთს და ადგილზე ეცნობიან მათთვის სასურველ ინფორმაციას. გაზეთი საშუალებას აძლევს ნებისმიერ მოქალაქეს გაზეთის ფურცლებზე გამოხატოს თავისი აზრი. თავისი მასალების შინაარსით ცდილობს იყოს შუამავალი ხელისუფლებასა და მოსახლეობას შორის და ის პრობლემები, რომელიც რეალურად დგას ჩვენი მოქალაქეების წინაშე, ხელისუფლებას გააცნოს გაზეთის საშუალებით. ორგანიზაციაში დასაქმებული 8 თანამშრომლიდან ქალი არის 7, მამაკაცი 1.</p>					
ქვეპროგრამის მიზანი	გაზეთის მეშვეობით მოსახლეობის ინფორმაციულობის გაზრდა და ჩართულობა					
მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობის ინფორმაციულობა მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროცესებზე					
შედეგის შეფასების ინდიკატორი	#	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი	ცდომილები ს ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო ორისკი	



			მაჩვენებელი		
	დაბეჭდილი ეგზემპლარების რაოდენობა	500	500	10%	

### ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარებას და სხვადასხვა შეღავათებით უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში განაგრძობს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელებას, რაც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ჯანდაცვის ცენტრი	დაფინანსება ათას ლარებში			
	06 01 01 01		2023 წ.	2024 წ.	2025 წ.	2026 წ.
			116,9	100,0	110,0	120,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	'ააიპ ახმეტის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი					

ქვეპროგრამის ღწერა	<p>“ეპიდზედამხედველობის“ სახელმწიფო პროგრამის „რეგიონულ და მუნიციპალურ დონეზე არსებული სჯდ ცენტრებისათვის ეპიდზედამხედველობის, იმუნიზაციის და სამედიცინო სტატისტიკის ღონისძიებების. კომპონენტი “ეპიდზედამხედველობის“ სახელმწიფო პროგრამის „მალარიისა და სხვა ტრანსმისიური (დენგე, ზიკა, ჩიკუნგუნია, ყირიმ-კონგო, ლეიშმანიოზი და სხვა) დაავადების პრევენციისა და კონტროლის გაუმჯობესების“ კომპონენტის „მალარიის კერებში დაავადებაზე სავარაუდოდ საეჭვო პირების სკრინინგული კვლევის ქვეკომპონენტი . ააიპ ახმეტის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის სავალდებულო მოვალეობების განხორციელება. ტუბერკულოზის, აივ ინფექციის და C ჰეპატიტის ადრეული გამოვლენის მუნიციპალური პროგრამა. აგრეთვე ხორციელდება გეგმიური აცრები შემდეგი დაავადებების წინააღმდეგ:</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. ტუბერკულოზი</li> <li>2. ბ ჰეპატიტი</li> <li>3. დიფტერია</li> <li>4. ყივანახველა</li> <li>5. ფემოფილუს ინფლუენსა</li> <li>6. პოლიომიელიტი</li> <li>7. წითელა</li> <li>8. წითურა</li> <li>9. ყბაყურა</li> <li>10. როტა ვირუსი</li> <li>11. პნევმოკოკური პნევმონია</li> <li>12. პაპილომა ვირუსი</li> <li>13. ტეტანუსი</li> <li>14. ცოფის</li> <li>15. გრიპის</li> <li>16. კოვიდის</li> </ol> <p>უშუალოდ აცრის პროცესი ხორციელდება ევექსის კლინიკაში, დუისის რეგიონალურ ჯანდაცვის ცენტრში და სოფლის ამბულატორიებში.</p>				
ქვეპროგრამის მიზანი	ძირითადი მიზანია სამოქმედო ტერიტორიის მოსახლეობის ჯანმრთელობის ხელშეწყობა და დაავადებების პრევენცია, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ოპერატიული (EPHo-10) ფუნქციების განხორციელების გზით;				
მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება და საგანგებო სიტუაციების ლოკალიზება				
	#	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკი

			მაჩვენებელი		
შედეგის შეფასების ინდიკატორი	გეგმიური აცრების რაოდენობა დაბადებიდან - 14 წლის ჩათვლით	3600	3420	5%	

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ჯანდაცვის ობიექტების რეაბილიტაცია	დაფინანსება ათას ლარებში
	06 01 02		2023 წ.
			143,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახმეტის მუნიციპალიტეტის მერია		
	1.პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ა(ა)იპ საზოგადოებრივი ცენტრის ოფისში სველი წერტილების მოწყობის ,ოთახების სარემონტო სამუშაოები 46,5 ათასი ლარი 2.შშმ პირთა სარეაბილიტაციო ცენტრის მოწყობის მიზნით ძველი ინტერნატის შენობის რეაბილიტაცია 81,5 ათასი ლარი		
	ძირითადი მიზანია სამოქმედო ტერიტორიის მოსახლეობის ჯანმრთელობის ხელშეწყობა .შშმ პირთა მდგომარეობის გაუმჯობესება		

სოციალური პროგრამები

	კოდი		დაფინანსება ათას ლარებში
--	------	--	--------------------------

ღონისძიების დასახელება	06 02 01	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	2023 წ.	2024 წ.	2025 წ.	2026 წ.
ღონისძიების განმახორციელებელი სამსახური	ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის, ბავშვთა უფლებათა დაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახური					
ღონისძიების აღწერა	<ul style="list-style-type: none"> <li>- ეკონომიკურად გაჭირვებულ და სოციალურად დაუცველ მოქალაქეთა სტაციონარში ჩატარებული მკურნალობის, ოპერაციის (სახელმწიფოს მიერ ასანაზღაურებელი მოქმედი სატარიფო არეალით განსაზღვრული ღირებულების გათვალისწინებით) გამოკვლევების დაფინანსება, ახმეტის მუნიციპალიტეტში ფაქტობრივად მცხოვრები ბინადრობის ნებართვის მქონე პირების მკურნალობის დაფინანსება მწვავე გადაუდებელ შემთხვევებში, ცერებრალური დამბლით დაავადებული, ფსიქომოტორული და სხვა მოტორული პათოლოგიის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციისათვის საჭირო პროცედურების დაფინანსება (გარდა ესთეტიკური ქირურგიის, კოსმეტიკური მიზნით ჩატარებული მკურნალობის და ლოგოპედიის მომსახურებისა). გადასახდელი თანხის 50%-მდე (300 ლარიდან ზემოთ) წელიწადში არა უმეტეს 1500 (ათას ხუთასი) ლარისა დაფინანსდებიან ის მოქალაქეები, რომლებიც არ არიან სიღარიბის ზღვარს ქვემოთ, ხოლო ის მოქალაქეები, რომელთა სარეიტინგო ქულაა 120 000 -მდე, დაფინანსდებიან გადასახდელი თანხის 70 %-მდე, არა უმეტეს 1500 (ათას ხუთასი) ლარისა;</li> <li>- ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული დიალიზის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე, ონკოლოგიური და სისტემური წითელი მგლურას მქონე პაციენტებისთვის მედიკამენტების თანხის თანადაფინანსება, აგრეთვე ფსიქოტროპული მედიკამენტების მიმღბი პირებისთვის თანხის თანადაფინანსება წლის განმავლობაში არა უმეტეს 1500 (ათას ხუთასი) ლარისა. თანხა ჩაირიცხება შესაბამისი სამედიცინო/სააფთიაქო დაწესებულების საბანკო ანგარიშზე წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) საფუძველზე.</li> </ul>					

მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ეკონომიკურად გაჭირვებული და ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირთა მდგომარეობის გაუმჯობესება				
შედეგის შეფასების ინდიკატორი	#	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკი
	1	2022 წელს პროგრამით ისარგებლებს 750 ბენეფიციარი	2023 წელს პროგრამით ისარგებლებს 800 ბენეფიციარი	10%	

ლონისძიების დასახელება	კოდი	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარება	დაფინანსება ათას ლარებში			
	06 02 01 01		2023 წ.	2024 წ.	2025 წ.	2026 წ.
			265,0	295,0	325,0	355,0
ლონისძიების განმახორციელებელი სამსახური	ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის, ბავშვთა უფლებათა დაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახური					
ლონისძიების აღწერა	<ul style="list-style-type: none"> <li>- ახმეტის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ 95 წელს გადაცილებულ ხანდაზმულ პირთა დახმარება 300 (სამასი) ლარის ოდენობით</li> <li>- 100 წლის ასაკს გადაცილებული პირთა დახმარება წელიწადში ერთხელ 500 ლარის ოდენობით</li> <li>- ელექტროენერჯის ან ბუნებრივი აირის გადასახადის თანადაფინანსება წელიწადში 150 ლარის ოდენობით შემდეგ პირებზე (გარდა მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები ოჯახებისა) :</li> <li>- სოციალურად დაუცველი ოჯახები, რომლებიც არ იღებენ სოციალურ შემწეობას და მათი ოჯახის სარეიტინგო ქულაა 65 000 - დან 80 000-მდე ;</li> <li>- მრავალშვილიანი ოჯახები, რომელთაც ჰყავთ 4 და მეტი არასრულწლოვანი შვილი.</li> <li>- მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირები.</li> <li>- ახმეტის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 18 წლამდე ბავშვები წელიწადში ორჯერ საახალწლოდ და საადგომოდ მიიღებენ 200 ლარის ღირებულების სასურსათო პაკეტს (წელიწადში 400 ლარის)</li> </ul>					

- ახმეტის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უდედამამო 18 წლამდე ბავშვები წელიწადში ორჯერ საახალწლოდ და სააღდგომოდ მიიღებენ 200 ლარის ღირებულების სასურსათო პაკეტს (წელიწადში 400 ლარის ოდენობით)
- ახალშობილის შეძენის შემთხვევაში ოჯახების დახმარება, კერძოდ: პირველი და მეორე ბავშვის შეძენისას ოჯახებს ერთჯერადად ჩაერიცხებათ ფულადი დახმარება (გარდა მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები ოჯახებისა), პირველ ბავშვზე 150 ლარის ოდენობით და მეორე ბავშვზე 200 ლარის ოდენობით. ხოლო ტყუპების შეძენის შემთხვევაში თითო ბავშვზე 200 ლარი (ორივეზე 400 ლარი).
- უპატრონო მიცვალებულის დაკრძალვის სარიტუალო ხარჯის გაცემა ხორციელდება შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელზე მისივე შუამდგომლობის საფუძველზე. დახმარება გაიცემა რეგისტრაციის ადგილის მიუხედავად. მერის წარმომადგენელმა განცხადებით უნდა მიმართოს მერიას უპატრონო მიცვალებულის გარდაცვალებიდან არაუგვიანეს 1 თვისა. დახმარების ოდენობა შეადგენს 300 ლარს.
- მაღალმთიან რეგიონში კერძოდ თუშეთში მუდმივად მცხოვრები ოჯახები წლის განმავლობაში ორჯერ საახალწლოდ და სააღდგომოდ იღებენ სასურსათო პაკეტებს 200 ლარის ოდენობით (წელიწადში თითოეულ ოჯახზე - 400 ლარი)
- მაღალმთიან რეგიონში კერძოდ თუშეთში მუდმივად და სეზონურად მცხოვრებ პირთა პირველადი სამედიცინო დახმარებისათვის საჭირო მედიკამენტებით უზრუნველყოფა ხდება წელიწადში 1500 ლარის ოდენობით
- ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული თირკმლის უკმარისობით დაავადებულთათვის სატრანსპორტო ხარჯის გამოყოფა (ყოველთვიურად 100 ლარი) პროგრამული დიალიზის ჩასატარებლად
- ლოგინს მიჯაჭვული პირების დახმარება ჰიგიენური საშუალებების შესაძენად ყოველთვიურად 50 ლარის ოდენობით;
- ახმეტის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული დიაბეტიით და ფერმენტოპათიით დაავადებულ 18 წლამდე ბავშვთა კვებისთვის დახმარება თვეში 100 ლარის ოდენობით.
- განსაკუთრებულ შემთხვევებში, „სოციალური პაკეტით განსაზღვრული დახმარებების მსურველ პირთა განცხადებების შემსწავლელი კომისიის" დასკვნის საფუძველზე, სოციალური დახმარება გაიცემა ახმეტის

	<p>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული და ფაქტობრივად მცხოვრები ეკონომიკურად გაჭირვებულ, სოციალურად დაუცველ ფიზიკურ პირებზე და ოჯახებზე, წელიწადში ერთხელ არაუმეტეს 1500 (ათას ხუთასი) ლარისა, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ სამიზნე ჯგუფის მოთხოვნებს ან კონკრეტული მიზნების გამო ამ ეტაპზე შეუძლებელია დახმარება სოციალური პროგრამის სხვა მუხლებიდან</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული რეინტეგრირებული ბავშვების ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნების შემთხვევაში ბიოლოგიურ ოჯახს ეძლევა ფულადი დახმარება ერთჯერადად 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით</li> <li>- ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ პირველი ჯგუფის უსინათლო მოქალაქეებზე გაიცემა წელიწადში ერთხელ ერთჯერადი ფულადი დახმარება 300 (სამასი) ლარის ოდენობით</li> <li>- დაუნის სინდრომის მქონე პირთა საერთაშორისო დღესთან (21 მარტი) დაკავშირებით ახმეტის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ დაუნის სინდრომის მქონე პირებზე გაიცემა ერთჯერადი ფულადი დახმარება 300 (სამასი) ლარის ოდენობით. თანხა გაიცემა მერის ბრძანების საფუძველზე, არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში მის კანონიერ წარმომადგენელზე.</li> <li>- აუტიზმის საერთაშორისო დღესთან (2 აპრილი) დაკავშირებით ახმეტის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ აუტისტური სპექტრის მქონე პირებზე გაიცემა ერთჯერადი ფულადი დახმარება 300 (სამასი) ლარის ოდენობით. თანხა გაიცემა მერის ბრძანების საფუძველზე, არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში მის კანონიერ წარმომადგენელზე.</li> <li>- მაღალმთიან რეგიონში (თუშეთი) „მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები“-ს სტატუსის მქონე პირთა მოზამთრე ოჯახების 15 კუბურ მეტრამდე მეორე ხარისხის მერქნით (საშეშე მერქანი) დახმარება</li> <li>- ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ოჯახში ძალადობის მსხვერპლი პირების ერთჯერადი დახმარება 500 ლარის ოდენობით</li> <li>- კრიზისულ სიტუაციებში მყოფი ბავშვიანი ოჯახების დახმარება წელიწადში ერთხელ, არაუმეტეს 1000 ლარისა.</li> </ul>
<p>მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</p>	<p>სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შემსუბუქება</p>

შედეგის შეფასების ინდიკატორი	#	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკი
	1	2022 წელს პროგრამით ისარგებლებს 554 ბენეფიციარი	2023 წელს პროგრამით ისარგებლებს 600 ბენეფიციარი	10%	

ლონისძიების დასახელება	კოდი	ხანძრით, მიწისძვრით და სხვა სტიქიური უბედურებების შედეგად დაზარალებულთა დახმარება	დაფინანსება ათას ლარებში			
	06 02 02 01		2023 წ.	2024 წ.	2025 წ.	2026 წ.
			612,0	20,0	20,0	20,0
ლონისძიების განმახორციელებელი სამსახური	ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახური					
ლონისძიების აღწერა	<p>- ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მომხდარი ხანძრის შედეგად საცხოვრებელი სახლის დაზიანების შემთხვევაში დახმარება (დაზიანების ხარისხის გათვალისწინებით არაუმეტეს 2000 ლარისა)</p> <p>- ახმეტის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სტიქიის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით ბინის ქირით უზრუნველყოფა. არაუმეტეს 200 ლარისა 4 თვის განმავლობაში.</p> <p>„სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 20 იანვრის #116 განკარგულებით ახმეტის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხის ოდენობა შეადგენს 600,0 ათ. ლარს, რომელიც უნდა მოხმარდეს სტიქიით დაზარალებულთა სახლების სახურავის რეაბილიტაციას</p>					
მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ხანძრის შედეგად დაზარალებულთა დახმარება					
შედეგის შეფასების ინდიკატორი	#	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკი	
	1	2022 წელს პროგრამით ისარგებლებს 9 ბენეფიციარი	2023 წელს პროგრამით ისარგებლებს 9 ბენეფიციარი	10%		



ლონისძიების დასახელება	კოდი	ომის ვეტერანთა სადღესასწაულო და სარიტუალო ხარჯები		დაფინანსება ათას ლარებში			
	06 02 04			2023 წ.	2024 წ.	2025 წ.	2026 წ.
				15,2	15,2	15,2	15,2
ლონისძიების განმახორციელებელი სამსახური	ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახური						
ლონისძიების აღწერა	<ul style="list-style-type: none"> <li>- ახმეტის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულ მეომართა ოჯახებს 26 მაისისათვის ეძლევათ ერთჯერადი ფულადი დახმარება 400 ლარის ოდენობით</li> <li>- ახმეტის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სამამულო ომის ვეტერანების და მათი ოჯახების დახმარება, კერძოდ: გარდაცვლილი სამამულო ომის ვეტერანების სარიტუალო ხარჯების დაფინანსება 400 ლარის ოდენობით. დაკრძალვის სარიტუალო ხარჯების ანაზღაურებისათვის განმცხადებელმა მერიას უნდა მიმართოს ომის ვეტერანის გარდაცვალებიდან არა უგვიანეს 3 თვისა.</li> <li>- მეორე მსოფლიო ომის მონაწილეთათვის ერთჯერადად დახმარების გაწევა 9 მაისს ფაშიზმზე გამარჯვების დღესთან დაკავშირებით, თითოეულზე 400 ლარის ოდენობით</li> <li>- ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში მონაწილე შშმ პირებს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით ეძლევათ ერთჯერადი ფულადი დახმარება 600 ლარის ოდენობით. თანხა ჩაირიცხება მერის ბრძანების საფუძველზე მათ ანგარიშზე.</li> </ul>						
მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულ მეომართა ოჯახების ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება						
შედეგის შეფასების ინდიკატორი	#	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკი		
	1	2022 წელს პროგრამით ისარგებლებს 30 ბენეფიციარი	2023 წელს პროგრამით ისარგებლებს 29 ბენეფიციარი	10%			

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მოსახლეობის ტრანსპორტით მომსახურება	დაფინანსება ათას ლარებში			
	06 02 02 03		2023 წ.	2024 წ.	2025 წ.	2026 წ.
			38,0	38,0	38,0	38,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახმეტის მუნიციპალიტეტის მერია, საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური					
ქვეპროგრამის აღწერა	ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ კასრისწყლის მოსახლეობის საზოგადოებრივი ტრანსპორტით მომსახურება სოფელ კასრისწყლიდან ქალაქ დედოფლისწყაროში, ბაზრის ტერიტორიაზე 35 კმ მანძილზე (ადგილზე მოცდით და უკან დაბრუნებით), თვეში არანაკლებ 8(რვა) რეისი ყოველი კვირის სამშაბათსა და შაბათს, ილტოს ხეობის სოფლების: ჭართალის, შახვეტილის, ჩაჩხრიალის, ნადუქნარისა და საბუის მოსახლეობის საზოგადოებრივი ტრანსპორტით მომსახურება სოფელ ჭართალიდან ქალაქ ახმეტაში, ბაზრის ტერიტორიაზე 15 კმ. მანძილზე (ადგილზე მოცდით და უკან დაბრუნებით), ყოველი კვირის სამშაბათს, პარასკევს და კვირას. ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფ.დედისფერულის მოსახლეობის საზოგადოებრივი ტრანსპორტით მომსახურება, ყოველ კვირა დღეს სოფლიდან ქალაქ ახმეტაში ბაზრის ტერიტორიაზე ადგილზე მოცდით და უკან დაბრუნებით. (სავარაუდო მანძილი სოფელი დედისფერულიდან ქ.ახმეტამდე 20 კმ.) აღნიშნულ სოფლებში არ არის სასურსათო მაღაზიები და არც აფთიაქები. არ აქვთ წვდომა სერვისების მომსახურების სააგენტოსთან.					
ქვეპროგრამის მიზანი	მოსახლეობისათვის გადაადგილებისა და სხვადასხვა სერვისებით სარგებლობის ხელმისაწვდომობა					

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	უმწოთათვის უფასო კვების პროგრამა	დაფინანსება ათას ლარებში			
	06 02 03		2023 წ.	2024 წ.	2025 წ.	2026 წ.
			630,3	650,0	690,0	750,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ - ახმეტის მუნიციპალიტეტის " სოციალური სახლი"					

ქვეპროგრამის აღწერა	<p>ქ. ახმეტაში უმწეოთათვის განკუთვნილია მუნიციპალიტეტის მერიის ერთი უფასო მუნიციპალური სასადილო, რომელიც ემსახურება 370 სოციალურად დაუცველ ბენეფიციარს და უზრუნველყოფს დღეში ერთხელ ცხელი საკვებით. ადგილზე იკვებება 35 (ოცდათხუთმეტი) ბენეფიციარი, ხოლო დანარჩენი ბენეფიციარის მომარაგება ხდება საცხოვრებელ ადგილზე, სოფლების მიხედვით. ყოველთვიურად ხდება მოსარგებლე პირთა რაოდენობაში ცვლილების შეტანა, კერძოდ გარდაცვალების, რაიონიდან გასვლის ან პირადი განცხადების საფუძველზე. ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე უფასო სასადილოში ბენეფიციარების შერჩევისა და რეგისტრაციის წესს განსაზღვრავს ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N-19, მიღებული 2012 წლის 27 იანვარს. უფასო სასადილოში ბენეფიციარად რეგისტრაციის მიზნით დაინტერესებული პირი განცხადებით მიმართავს მერიას, განცხადებას თან უნდა ახლდეს ცნობა, რომლითაც დასტურდება, რომ იგი აღრიცხულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და იღებს საარსებო შემწეობას, ან მოპოვებული აქვს ჯანმრთელობის სახელმწიფო დაზღვევით სარგებლობის უფლება. ასევე მარტოხელა, უმუშევარი პენსიონერი. ბენეფიციართა განცხადების საფუძველზე ხდება რაიონის მაშტაბით მათი სოციალურ-ეკონომიური პირობების შესწავლა, მერიასთან შექმნილი კომისიის მიერ ადგილზე, ბენეფიციართა შემოწმებისა და კომისიის სხდომაზე შემდგომი განხილვის შემდეგ, მერის მიერ გამოცემული ბრძანების საფუძველზე ხდება ამ მონაცვლე სოციალურად დაუცველი ბენეფიციარების ჩარიცხვა ან ამორიცხვა უფასო სასადილოში. აუცილებლობის შემთხვევაში შესაძლოა მოხდეს ცვლილება მენიუში საჭირო კალორიაჟის გათვალისწინებით ბენეფიციართა მოთხოვნილებების საფუძველზე.</p> <p>370 ბენეფიციარიდან ქალი არის 206 ხოლო მამაკაცი 164.</p> <p>დასაქმებული 27 თანამშრომლიდან 9 არის მამაკაცი, 18 - ქალი.</p>				
ქვეპროგრამის მიზანი	სიღატაკის ზღვარზე მყოფი მოსახლეობის უფასო ერთჯერადი საკვებით უზრუნველყოფა				
შედეგის შეფასების ინდიკატორი	#	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკი
	1	2022 წელს პროგრამით ისარგებლებს 370 ბენეფიციარი	2023 წელს პროგრამით ისარგებლებს 370 ბენეფიციარი	10%	

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	წითელი ჯვრის თანადაფინანსება	დაფინანსება ათას ლარებში			
	06 02 05		2023 წ.	2024 წ.	2025 წ.	2026 წ.

		40,0	40,0	40,0	40,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახმეტის მუნიციპალიტეტის მერია, საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური				
ქვეპროგრამის აღწერა	<p>საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება, როგორც ჰუმანიტარულ სფეროში მთავრობის დამხმარე ორგანიზაციის უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტებია:</p> <p>კატასტროფების მართვა</p> <p>ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობის ზრდა</p> <p>სოციალური მხარდაჭერა</p> <p>საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება ახმეტის ფილიალში 2013 წლიდან „ინტეგრირებულ საქმიანობათა ცენტრის“ ბაზაზე ახორციელებს მოწყვლადი ჯგუფების მათ შორის: ხანდაზმულების სოციალურ მხარდაჭერაზე, ახალგაზრდების გაძლიერებაზე, პანკისის თემის უნარიანობის ამაღლებასა და ახმეტის მუნიციპალიტეტის კატასტროფების რისკის შემცირების შესაძლებლობის გაზრდაზე ორიენტირებულ საქმიანობებს. პროექტით „საქმიანობათა ცენტრი ახმეტაში“ უსაფრთხო გარემოსა და სიცოცხლის ხელშეწყობისათვის პროექტით ფინანსდება ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორცაა:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- სხვადასხვა სოციალური ღონისძიებები (ექსკურსია, შემოქმედებითი საღამოები, ღირსშესანიშნავი თარიღების აღნიშვნა და სხვა)</li> <li>- გასცვლითი ვიზიტები თანამშრომლებისა და მოხალისეებისათვის</li> <li>- მასალები საქმიანობათა ჯგუფებისათვის (საკერავი, საქსოვი, საქარგი და სხვა)</li> <li>- საბაზისო მედიკამენტები ლოგინს მიჯაჭვული ბენეფიციარებისათვის</li> <li>- კატასტროფების შედეგად დაზარალებულთა მხარდამჭერი საქმიანობები</li> <li>- სამედიცინო აქციები (სასტუმრო, ტრანსპორტირება, კვება) დაუცველი ჯგუფებისთვის</li> <li>- და სხვა პროგრამული თუ ადმინისტრაციული ხარჯები.</li> </ul>				

ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობისათვის უსაფრთხო გარემოსა და სიცოცხლის ხელშეწყობისათვის პროექტის თანადაფინანსება.

## მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები

მმართველობითი სფეროს გამართული ფუნქციონირება მუნიციპალიტეტის საქმიანობის ეფექტურად წარმართვის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია, სადაც მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მოსახლეობის ჩართულობის სისტემების შექმნას და უზრუნველყოფას, საბიუჯეტო პროცესის გაუმჯობესებას, მიმდინარე პროცესების მართვას და სხვა ფაქტორებს.

პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება. ამავე პრიორიტეტიდან ფინანსდება ისეთი ხარჯები, როგორებიცაა სარეზერვო ფონდი, მუნიციპალიტეტის ვალდებულებების (სესხები, სასამართლო გადაწყვეტილებები) მომსახურება.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	დაფინანსება ათას ლარებში			
	01 02 03		2023 წ.	2024 წ.	2025 წ.	2026 წ.
ქვეპროგრამის დასახელება	01 02 03	მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	244,6	235,6	226,7	179,7
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური					
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალური განვითარების ფონდიდან მიღებული სესხის საპროცენტო (76,3 ათ. ლარი) და სესხის ძირითადი თანხების დაფარვა (168,3 ათ. ლარი). სესხი აღებულია „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვისა“ (2023 წელს გადასახდელი იქნება 105,4 ათ. ლარი. მ. შ %-29,1 ათ. ლარი, ძირითადი თანხა-76,3 ათ. ლარი) და „ახმეტის მუნიციპალიტეტში სოფელ მატნის სპორტსკოლის რესკონსტრუქციისა და გზის რეაბილიტაციის“ (2023 წელს გადასახდელი იქნება 139,2 ათ. ლარი. აქედან პროცენტი - 47,2 ათ. ლარი. ძირითადი თანხა - 92,0) პროექტების განსახორციელებლად.					
ქვეპროგრამის მიზანი	ახმეტის მუნიციპალიტეტის მიერ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის წინაშე ნაკისრი სასესხო ვალდებულების სრულად და დადგენილ ვადებში დაფარვა					

მოსალოდნელი შედეგი	სასესხო ვადებულება დაფარვა ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში				
	#	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკი
შედეგის შეფასების ინდიკატორი	სასესხო ვადებულების დაფარვის პირობების დარღვევის გამო დაკირებულ იქნა პირგასამტეხლო	0.00	0	1%	სახელმწიფო ხაზინის მიერ საგადახდო მოთხოვნის დაგვიანებით დამოწმება